

ჩვენნი

დროშა

832

1962

„NOTRE DRAPEAU“

დაარსებულია ნოე ჟორდანიას მიერ.

N° 37

Directeur: MICHEL STOUROUA.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ჩვენი უთანხმოება.

კონფერენცია საქ. ს.-დ. მ. პ. საზ.-თელ ორგ.—ბისა.

დეკლარატი—ქართული ეროვ. საბჭოს ყრილობა.

ნ. ჟრუჟაძე—«ჩვენი დროშა»-ს რედაქციას.

ა. მაღრიძე—კომპარტიის მე-22 ყრილობა.

26 მაისი უცხოეთში.

უცხოეთში გარდაცვლილნი.

მიმდინარეობს—ბიბლიოგრაფია და სხვ.

პარისი.

ო ვ ღ ი ს ი.

Paris.

1962

### ჩვენის უთანხმოება.

ნათქვამია, «კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალა»-ო. ასეთი ამბავი მოგვივიდა ჩვენც. შემოვიდა ჩვენს რიგებში უთანხმოება, გაიბზარა მთლიანობა, გაწყდა დისციპლინის ჯაჭვი ვეცადეთ იგი შიგნივე მოგვეწვინებინა, გარეთ არ გამოგვეტანა. მით უმეტეს, რომ ჩვენი რიგების გაბზარვის გაგება—მხოლოდ მტერს გაახარებდა: ჩვენს სისუსტეს დაანახევებდა. ეს არ მოხერხდა. დაგვრჩა ერთად ერთი საშვალეობა: ჩვენი ნაკლი აღვნიშნოთ, მიზეზი მოვუძებნოთ, საერთო ძალით მისი განკურნების გზები ვეძებოთ.

რაშია საქმე?

სოციალდემოკრატიის ყოველთვის იბრძოდა იდეურ ნიადაგზე, გარკვეული საზოგადოებრივი მიზნებისთვის—კოლექტივური გზით. დღეს კი მიზნები თითქოს უცვლელია: ჩვენი დაჩაგრული ერის განთავისუფლება. მტერი და დუშმანი ერთია: კომუნისტური დიქტატურა, მოსკოვისგან სიშტებით თავზე მოხვეული. მის წინააღმდეგ ბრძოლა—ერის და ადამიანის უფლებათა დასაცველად—საერთოა. ამაზე არავინ დავობს. და მაინც გაჩნდა ბზარი, ჩვენი ორგანიზაცია გასქდა.

რა არის ამის მიზეზი?

პირველია დემოკრატიული გზიდან გადახვევა. იდეური ბრძოლის მაგიერ, ორგანიზაციაში გაბატონების, სათაგენი მოქცევის სურვილის პირველ რიგში წამოყენება და ამ მიზნის მისაღწევად ვითომდა რევოლუციური მეთოდის გამოყენება. დემოკრატიაში კი «რევოლუცია» ნიშნავს მის დარღვევას და დიქტატორულ-პიროვნულ ამბიციების გაბატონებისაკენ გზის გახსნას. სწორედ ამ ნიადაგზე მოხდა განხეთქილება, რაც არ შეიძლება სამწუხაროთ არ ჩაითვალოს. ორგანიზაციამ საქირით დაინახა—ორი თანამდებობის გაყოფა: ერთგ. საბჭოს აღმ. კომიტეტში თავმჯდომარეობის და საგარეო წარმომადგენლობის სხვადასხვა პირებისთვის ჩაბარება. ეს დაადგინა უმრავლესობამ მუშაობის გასაუმჯობესებლად, ორგანიზაციის საქმიანობაში მეტი ამხანაგების ჩაბმის მიზნით. დემოკრატიაში ეს ნორმალური მოვლენაა: ეს მოხდა კანონიერი გზით, უმრავლესობის გადაწყვეტილებით. რაც კანონით უნდა მიეღო უმცირესობასაც. მაგრამ ეს არ მოეწონა ნ. ცინცაძეს, რომელსაც ორივე ეს თანამდებობა ეჭირა. მან მოისურვა «რევოლიუციონური» გზით უმცირესობის უმრავლესობაზე გაბატონება. ამ სურვილმა, ნ. ცინცაძე შეაყენა ჩვენი ერთგულ და პარტიულ პოლიტიკურ ხელმძღვანელ ორგანოების დაშლის და დანგრევის გზაზე.

ამ მიზნით ის პირველად გაეთიშა საქართველოს ყოფილ



30274

მთავრობის წევრთა კოლეგიას; შემდეგ გავიდა საქართველ ო. ს. სოც.-დემ. მ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროდან და თან ჯიყილა 18-დან ხუთი წევრი; გაიქცა მისივე მონაწილეობით და ხელის მოწვრით გაფართოვებულ ქართული საბჭოების პარტიის გაერთიანებულ ეროვნულ საბჭოდან და გაიყვანა საერთო ფრონტიდან სოციალდემოკრატების 10 დელეგატიდან 3 წევრი. ხელოვნურად შექმნა მეორე ეროვნული ფრონტი არსებულ ეროვნულ საბჭოს გვერდით მასთან საკონკურენციოთ და მის გასაუქმებლათ.

გაჩნდა ორი ეროვნული ფრონტი. ორივე სოციალდემოკრატების მეთაურობით. მოვლენა ჩვენი პარტიის ისტორია. ში არ ცნობილი, ჩვენი ეროვნულ საზღვარ გარეთელ საქმიანობის დიდად ხელის შემშლელი და დამლუპველი; საქართველოს სოც.-დემ. მ. პარტიის ავტორიტეტის და პრესტიჟის დამცემი, და ამას მოყვა თავის შედეგები მტრის სასიამოვნო და გასახარელი.

7 ივლისს მიუნხენში მოწვეულ იქნა «პარიზის ბლოკში» შემავალ ეროვნებათა წარმომადგენლების კონფერენცია. თუ ნ. ცინცაძე თავის განზრახვებზე ხელს არ აიღებდა და ჩვენი ეროვნული საბჭოს მიერ არჩეული დელეგაციის გვერდით იქ გამოცხადდებოდა მეორე ქართული დელეგაცია ხ. ცინცაძის მეთაურობით, ეს იქნებოდა დიდი ეროვნული მარცხი მთელი ქართული საქმისათვის...

ამ პერსპექტივის თავიდან აცილება, ამ მდგომარეობიდან გამოსავალი გზის გამონახვა გახდა ჩვენი უმთავრესი საზრუნავი საგანი.

მივმართეთ ნ. ცინცაძეს წინადადებით, რომ შეგვთანხმებოდა და კონფერენციაზე წამდგარიყო ორთავე დელეგაცია ერთად, ერთი მთლიანი ქართული ეროვნული ფრონტის სახით. ეს წინადადება მან არ მიიღო; უარი გვითხრა და შემოგვთავაზა შესულიყვენ მის დელეგაციაში ყოფილი მთავრობის მინისტრთა კოლეგიის წევრები რაჟდენ არსენიძე და გიორგი ერაძე. ამ წინადადების აზრი იყო ეროვნულ საბჭოში შემავალ პარტიების გაძევება, არსებულ დელეგაციის გაუქმება, ეროვნულ საბჭოს დანგრევა (რასაც მუდმივ ქადაგებდა); ნოე ცინცაძის დიქტატურის ცნობა და ჩვენი პარტიული ორგანოების დემოკრატიული წყობის და მეთოდების უარის ყოფა — დიქტატორულ გზაზე შედგომა.

უსიტყვოთ გავწყვიტეთ ყოველგვარი ლაპარაკი, და ჩვენი დელეგაცია, რომელშიაც შედიოდა: რაჟდენ არსენიძე, გიორგი ერაძე, ნიკო ურუშაძე და დიტო კლდიაშვილი, ჩვენი ტრადიციული ეროვნული დროშით გაგვზავნეთ მიუნხენის კონფერენციაზე.

ჩვენ კიდევ ვიმედოვნებდით, რომ ცინცაძე დაფიქრდებოდა, მასში ეროვნული და პარტიული პატრიოტიზმი გაიღვიძებდა, პიროვნულ ამბიციებს დასძლევდა და საჯაყ საქმეს

არ ჩაიდენდა; კონფერენციის გახსნამდის შესაძლებელი გახდებოდა დათანხმება ჩვენს წინადადებაზე რომ კონფერენციაზე ერთად და ერთი სახით გამოვსულიყავით.

ჩვენი იმედი არ გამართლდა: ნ. ცინცაძემ არჩია არ კპონოდა მანდატი ქართული ეროვნული ფორტისაგან. ამჯობინა მანდატი მიელა «პარიზის ბლოკში» შემავალ ნაციონალურ ორგანიზაციების თავმჯდომარეებისაგან, მათ პარტინოორთა ლოცვა-კურთხევით და მათის გავლენით.

კონფერენციის კრების გახსნამდე, მანდატების შემოწმებამდე და განხილვამდე ნ. ცინცაძეს უკვე მოეხდინა ჩუმი შეთანხმება «პარიზის ბლოკის» პრეზიდენტის წევრებთან და ეროვნულ სექციების თავმჯდომარეებთან. მათ სასურველათ ეცნათ ნ. ცინცაძის დატოვება დელეგატად და მისი თანამშრომლობა ბლოკში. ამიტომ ის მათი «ტრადიციის» მიხედვით იცნეს კანონიერათა. ქართული ეროვნული საბჭოს არჩეული დელეგაცია, რომელსაც ხელთ ეყარა მისი იურიდიული, პოლიტიკური და მორალური ყოველი კანონიერი ოფიციალური და არა ოფიციალური უფლებრივი საბუთები, არც განიხილეს, არც სიტყვიერათ მოგვიმინეს. — ყოველგვარი პრინციპი სამართლის წესის შელახეს და დაარღვიეს, რომ დაედასტურებინათ «კანონიერება» ცინცაძის და მისი დელეგაციის; ქართულ ეროვნულ საბჭოს კი ყოველგვარი უფლება წაართვეს.

ნ. ცინცაძის აფრიალებული გამთიშველი და დამანგრეველი დროშის წყალობით, ქართული ეროვნული სექცია არჩეული ქართული ეროვნული საბჭოს მიერ გამოთიშულ იქნა «პარიზის ბლოკიდან», მისი ადგილი დაიჭირა ნ. ცინცაძის შექმნილმა და უცხოთა მიერ არჩეულმა სექციამ.

ეს არის დიდი მარცხი საერთოდ ქართული საქმის.

ნუ თუ ეს არ არის დამაფიქრებელი? ნუ თუ შეიძლება ამას სხვა სახელი ვუწოდოთ, თუ არა ეროვნული საქმის დალაღატება?

რასაკვირველია, ჩვენ ვერავინ დაგვადებს პასუხისმგებლობას იმაში, რაც ქართველების სახელით იქნება იქ წარდგენილი მათგან სიტყვით, თუ საქმით.

ჩვენ ამას ვაცნობებთ დაინტერესებულ პირთ აქ საზღვარ გარეთ და იქ ჩვენს სამშობლოში.

მაგრამ არავინ იფიქროს, რომ ეს ამბავი ჩვენ ხელს აგვალეზინებს ჩვენი ქვეყნის წინაშე ჩვენი მოვალეობის შესრულებაზე, ან თუნდ იოტის ოდნად შეარყევს და შეაუსტებს ჩვენს პოზიციას და ჩვენს ენერგიას, რომ განვაგრძოთ სამსახური ქართველი ერის სუვერენულ უფლებების აღდგენის საქმისადმი, 26 მაისის ეროვნული და დემოკრატიული დროშის ქვეშ.

## კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა

საქართველოზე სოციალდემოკრატი. მუშ. პარტიის  
სახელმძღვანელო ორგანიზაციებისა.

ამა წლის 5 მაისს, პარიზში, პოლონელთა სახლში შესდგა საქართველოს სოც.-დემ. მ. პარტიის სახელმძღვანელო ბიუროსთან არსებული ორგანიზაციების პარტიული კონფერენცია, რომელზედაც წარმოდგენილი იყვნენ: პარიზის, სოჭოს, ლიონის და ამერიკის ორგანიზაციათა დელეგატები.

საქართველოს სოც.-დემ. მ. პარტიის სახელმძღვანელო ბიუროს სახელით, კონფერენცია გახსნა ამხ. გ. ერაძემ, რომელმაც მოიხსენია რა ჩვენი ქვეყნის და პარტიის ხელმძღვანელები და მეგობრები, რომლებიც უღმობელმა სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოაცალა, საზოგადოებას თხოვა ფეხზედ აღ. გომით პატივი სცენ მათ ხსოვნას.

შემდეგ ამხ. გ. ერაძე კონფერენციის საპატივო თავმჯდომარეთ ასახელებს ამხ. ინა ჟორდანიას, რაც კონფერენციის მონაწილეებმა ერთხმად დაადასტურეს. ხელს კონფერენციის თავ—რეთ არჩეულ იქნა ამხ. ილ. სალუქვაძე, პრეზიდიუმის წევრად ამხ. პ. სარჯველაძე, მდივნებად ამხ. კ. რიქაძე და მ. ბერიშვილი. ამხ. ილ. სალუქვაძემ წარმოსთქვა მოკლე, შინაარსიანი შესავალი სიტყვა, სოჭოს ორგანიზაციის სახელით, მადლობა გადაუხადა კონფერენციის მონაწილეებს. შემდეგ წაკითხულ იქნა მისასალმებელი წერილები: ამერიკაში მცხოვრებ ქართველ სოც.-დემ. მ. პარტიის ორგანიზაციისგან, საქ. სოც. ფედერალისტთა პარტიისგან, პარიზის «თეთრი გიორგის» ორგანიზაციისგან, ამხ. ანტონ ჟორჟოლიანისგან და დევეშა ამხ. რაჟდენ არსენიძისგან მიუხედავად, რომელიც ესალმება კონფერენციას და მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ავადმყოფობის გამო ვერ ესწრება პირადად მის სხდომებს. კონფერენციის დამსწრენი მქუხარე ტაშით ხვდებიან ორთავე განცხადებას.

კონფერენციას მხურვალეთ მიესალმა ჩვენი ძვირფასი ევგენის მეუღლე ქალბატონი ოლია, რომლის მოკლე მადრამ მგრძნობიერმა სიტყვამ დამსწრეთა ოვაცია გამოიწვია.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. პ. სარჯველაძეს მოხსენებისათვის შემდეგ თემაზე: «საერთაშორისო მდგომარეობა და საქარ. სოც.-დემ. მ. პარტიის ამოცანები». მომხსენებელი ფართედ ეხება ორ ეკონომიურ სოციალურ-პოლიტიკურ სამყაროს დაპირისპირებას, დღევანდელ ტექნიკურ განვითარების პერიოდში. ერთა შეკავშირების ლტოლვას ერთის მხრივ და კოლონიალურ მდგომარეო-

ბაში მყოფ ერების შეუპოვარ ბრძოლას განთავისუფლებებისათვის მეორეს მხრივ.

ერთა შეკავშირება ხდება მსოფლიოს ერთ ნაწილში ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლების შენარჩუნებით. მეორეში კი ერების ერთ დიდ ერთეულში მოქცევით, საკუთარი პოლიტიკური სისტემის სხვებისთვის თავზე მოხვევით და დესპოტიზმზე დაყრდნობით.

დასავლეთის ქვეყნებში სოციალური კანონმდებლობა და თვით კაპიტალიზმის ახალი ფორმა თანდათან აცლის ნიჟარს რუსულ კომუნისტების შემოქმედს და გაბატონებს თავისუფალ ქვეყნებში.

შემდეგ მომხსენებელი აშუქებს საბჭოთა კავშირში მომხდარ ზოგიერთ მოვლენებს თანაარსებობის თეორიის გატარებასა და პერმანენტულ ეკონომიურ კრიზისებთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია კომპარტიის პრივილეგიური წრეების და მშრომელი მასების დაპირისპირება.

მომხსენებელს შესაძლებლად მიაჩნია შიგნიდან საბჭოთა რეჟიმის დანგრევა. შემდეგ ის ვრცლად ეხება ჩვენი პარტიის მიერ წარსულში ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლის ტაქტიკას და იმ ამოცანებს, რომლებიც მას წინ უდგას მომავალში გადასაქრელად.

დასასრულ ის კონფერენციას აცნობს საზღვარგარეულ ბიუროს საანგარიშო პერიოდის მუშაობას.

მოხსენების გარშემო იმართება კამათი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ამხანაგები: ლ. ჟენტი, გ. ერადე, პრინციპი, მ. ბერიშვილი, ინა ჟორდანიანი, ალ. ტატიშვილი, გ. ჟორდანიანი, ილ. სალუქვაძე, აკ. კვიციანიშვილი, მ. სტურუა და სხვები.

მეორე დღეს ე. ი. ნ მაისს პირველი სხდომა გაიხსნა დიდ დარბაზში აშ. ლ. ჟენტის თავმჯდომარეობით. დარბაზში მართული იყო ჩვენი ქვეყნის და პარტიის ხელმძღვანელების: სილ. ჯიბლაძის, ნ. ჟორდანიას, კ. ჩხეიძის, ის. რამიშვილის, ევ. გეგუქორის, ნ. რამიშვილის, ირ. წერეთლის, კ. კანდელაკის, აკ. ჩხენკელის სურათებით.

აშ. სტურუა კონფერენციას აცნობს, რომ დიდი სპეციალურმა დელეგაციამ (ალ. ტატიშვილი, გ. ჟორდანიანი და მ. სტურუა) ჩამოიარა და ცოცხალი ყვავილების თაიგულებით შეამკეს: ნ. ჟორდანიას, კ. ჩხეიძის, ნ. რამიშვილის, ევ. გეგუქორის, აკ. ჩხენკელის, ს. მდიენის, კ. კანდელაკის და გრ. ურატაძის საფლავები.

კომისიამ ცოცხალი ყვავილები დაადვა ლევილის ძმთა სასაფლაოზე განურჩევლად მიმართულების—ყველა თანამემამულეების საფლავს, რომლებიც დევნილობაში დაიღუპნენ და სამშობლოს სიყვარული უცხო მიწაში ჩაიტანეს. კონფერენციის შემადგენლობა მქუხარე ტაშით ხვდება ამ განცხადებას.

შემდეგ კონფერენციის დღის წესრიგის მეორე საკითხზე სიტყვა ეძლევა გაერთიანებულ ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. გ. ერადეს.

მისი მოხსენება იბეჭდება ამავე ნომერში.

ამხ. გ. ერადის სიტყვის გარშემო კამათში მონაწილეობას იღებენ ამხანაგები: პ. სარჯველაძე, ვ. ჩუბინიძე, ილ. სალუქვაძე, პრ. ინწკირველი, მ. ბერიშვილი, კ. რიკამაძე, ლ. ქლენტი, ის. ქარსელაძე, აკ. კვიციანიშვილი, გ. ქორდანი და სხვები. ამით თავდება დღის სხდომა.

ნაშუადღევის სხდომას თავმჯდომარეობს ამხ. ილ. სალუქვაძე. სპეციალური კომისიის მიერ შემუშავებულ რეზოლუციის პროექტს კითხულობს ამხ. მ. ბერიშვილი. წარმოდგენილი რეზოლიუციები შესწორებით მიღებული იქნა ერთხმად, სახელმძღვანელოდ და ცხოვრებაში გასატარებლად.

კონფერენცია გადადის ორგანიზაციული საკითხების განხილვაზე. ამხ. პ. სარჯველაძის ახსნა განმარტების შემდეგ იხსნება მეტად საინტერესო კამათი მომავალი მუშაობის შესახებ; ორატორები აღნიშნავენ არანორმალურ მდგომარეობას ჩვენს პარტიულ წრეებში; რაიც გამოიხატა ზოგიერთებისგან ამ ბოლო ხანებში ჩვენს მუშაობაში არადემოკრატიულ წესების შემოტანაში, რაც უჩვეულოა ჩვენი პარტიის ტრადიციებისთვის.

აღშფოთებას გამოსთქვამენ იმ წერილების გამო, რომლებიც იქნა დაგზავნილი ამხანაგების ერთი-მეორეზე გადასამტერებლად, დასაპირდაპირებლად და გაუგებრობის შესატანად. მოუწოდებენ ყველა ამხანაგებს დაიცვან ჩვენი პარტიის ბრწყინვალე ტრადიციები, რომელმაც მოგვცა უდიდესი მორალური და პოლიტიკური ძალა, დაიცვან პარტიული დისციპლინა, შექმნან ურთიერთისადმი ამხანაგური ატმოსფერო, რაც საწინდარია ჩვენი მუშაობის წარმატებისა უცხოეთში.

კონფერენციის საპატიო თავმჯდომარის, ინა ქორდანის გამამხნეველმა, შინაარსიანმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა კონფერენციის მონაწილეებზე.

მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატიულ ემიგრაციის დანიშნულება საქართველოს დასახმარებლათ და მის სუვერენულ უფლებათა დასაცველათ არ შეცვლილა; უცხოეთის სოციალისტურ და დემოკრატიულ წრეებში ჩვენს პროპაგანდას უფრ მეტი ნიადაგი აქვს დღეს, როცა თავისუფალ ქვეყნებს თვით დაუდგათ განსაცდელი მოსკოვის იმპერიალისტური პოლიტიკისაგან, ვიდრე ეს წინათ იყო, როდესაც ამის უცხოელები ვერ ხედავდნენ და ვერ გრძნობდნენ. საჭიროა ჩვენი საზღვარგარეთელი ბიურო მუდმივ კონტაქტში იყოს უცხოელ სოციალისტურ პარტიებთან მათთან წაზრუნული დელეგატების საშუალებით.

ამხანაგ ინა ქორდანის უკვე გაუბაძს ასეთი კავშირი საფრანგეთის სოციალისტურ პარტიასთან, სადაც ის წევრია სე-

ნის ქალთა ფედერაციის და იქვე კითხულობს საქართველოს შესახებ მოხსენებებს.

კონფერენცია ფართოდ შეეხო პარიზის ორგანიზაციაში შექმნილ მდგომარეობის საკითხს და გამოყო კომისია აშხ. პრ. ინწკირველის, კ. რიჟამაძის და მ. ბერიშვილის შემადგენლობით, რომელსაც დაეველა ამ მდგომარეობის გამოსწორება და საღი, ნორმალური ურთიერთობის აღდგენა.

ამის შემდეგ კონფერენციამ მოახდინა სახლვარჯიშო ბიუროს შემადგენლობის გადახალისება.

ერთხმად იქნა მიღებული აშხ. სტურუას წინადადება, რომ აშხ. კ. გვარჯალაძეს გაეგზავნოს მისალმება და სურვილები გაჯანსაღების.

კონფერენციამ მადლობა გამოუცხადა ჩვენი ევ. გეგეჭკორის შვილის შვილებს რუსუდანს და ნინოს დარბაზის მართვისა და ტექნიკური მუშაობის ჩატარებისათვის.

დაბოლოს თავმჯდომარე საბოლოო სიტყვას აძლევს აშხ. პ. სარჯველაძეს, რის შემდეგ კონფერენციის მუშაობა დასრულებულად ცხადდება.

აშხ. პ. ხარჯველაძის საბოლოო სიტყვა.

საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაციების კონფერენციას უცხოეთში მუშაობა მოუხდა ორი დღის განმავლობაში მძიმე და ფრიალ საპასუხისმგებლო დროს.

ჩვენი პარტიის ბრწყინვალე წარსულის, წესების და ტრადიციებით გამსჭვალულმა, მან მეგობრულ და ამხანაგურ ატმოსფეროში განიხილა პოლიტიკური და ორგანიზაციული საკითხები, რომლის საფუძველზე უნდა იქნას წარმართული ჩვენი ქვეყნის ტრადიდიდან მიღებული ისტორიული ამოცანის შესრულება, რომელიც იხატება ურყევ და მტკიცე ნებისყოფით დაცვაში იმ ნაციონალურ დროშის, რომელიც აღიმართა 1918 წლის 26 მაისს. შემდეგ ტყვეობაში ჩაყარდნით, იგი სასიკეთით აღიბეჭდა ქართველი ერის გულში იმ მტკიცე რწმენით და გარდაუვალი იმედით, რომ კვლავ აფრიალდება საქართველოს ყოველ კუთხეში.

კონფერენცია ითვალისწინებს მომავალში ეროვნულ ბრძოლის სიხანგრძლივს, — ყველა მძიმე, უტოლად დიდან შექმნილ დამაბრკალებელ პირობებს — რომელშიც მას მოუხდება წარმოება ქართულ საქმისა — უცხოეთში. პასუხისმგებლობის სრული შეგნებით მან მიიღო სამოქმედო ის პოლიტიკური და ორგანიზაციული გეგმა, რომელიც სარჩულად დაედება სხვა პოლიტიკურ-ეროვნულ მებრძოლ ქართულ ძალებთან — თანამშრომლობას — რისთვისაც ჩვენ მთხელს უწევდით, ლოიალურ, კოლეგიალურ, სრული — ურთიერთ ნდობით — ერთ გაერთიანებულ ორგანოში მუშაობისთვის, უპირველესად ყოვლისა იგი მოუწოდებს სოც. დემ. მუშ. პარტიის



წევრებს ერთ მთლიან ოჯახში თავის მოსაყრელად და კვლავინდებურად ხელი-ხელ ჩაკიდებული ბრძოლის გასაგრძელებლად—ქართული საქმის საკეთილდღეოდ.

ქართველი ერთ დღეს ტანჯულია ეროვნულად—ამავე დროს საქართველოს მშრომელი გლეხობა, მუშუები მონობის პირობებშია ჩაყენებული—სოციალურად. სოც. დემ. მ. პარტია იბრძვის რა საქართველოს უცხო უღლისგან გასანთავისუფლებლათ—იბრძვის ამავე დროს—სოციალისტური რწმენით შეიარაღებული სოციალურ სამართლიანობის დამცავებისთვის. ეს დროშია მოცემული ჩვენი პარტიის ბელადის ნოე ჟორდანიასგან—მოითხოვს თავდადებას, სრულს ერთგულებას, თავგანწირვას, მსხვერპლს... თითველ ჩვენთაგანს სრული უფლება უნდა ჰქონდეს ამაყად და ვალმოხდილად შეხედოს იმ ჩვენ ხელმძღვანელთა სურათებს, რომლებიც აქ გვიცქერიან და გვეუბნებიან: «იყავით ყოჩაღად.—მტკიცეთ დაცავით ჩვენ მიერ დატოვებული,—ჩვენ აღარ ვართ თქვენს სათავეში,—მაგრამ გავალებთ—შეკრული ძალით ერთგულებით მოუარეთ და გააგრძელეთ ბრძოლა ერისა და ხალხის საკეთილდღეოდ»...

თავისუფლების იდეალით—ქართველი ერის განთავისუფლებისთვის—იქეროვნულ და სოციალურ სამართლიანობის დამყარებისთვის—კონფერენცია საქვეყნოთ აცხადებს, რომ სოც.-დემ. ორგანიზაციები მედგრად დაიცვენ ერისა და პარტიისთვის ნოე ჟორდანიასგან დატოვებულ დროშას და მისგან მოცემულ ამოცანებისთვის მჭიდრად იბრძოლებენ...

გაუმარჯოს ქართველი ერის განმანთავისუფლებელ ბრძოლას!

მხნეობა და გამარჯვება საქარ. სოც.-დემ. მ. პარტიას!

კონფერენციის მიერ მიღებული  
რეზოლუცია

ეროვნული და პოლიტიკური ვითარება საქართველოში.

ჩვენი ქვეყანა იმყოფება სრულ კოლონიალურ მდგომარეობაში. მის ეკონომიკას სავსებით დაპატრონებულია მოსკოვი,—საიდანაც მოდის გეგმები ქვეყნის სიმდიდრეთა ექსპლოატაციისათვის და საერთოდ ინდუსტრიალიზაცია მიმდინარეობს არა ადგილობრივ მცხოვრებთა მოთხოვნილების, არამედ საბჭოთა იმპერიის სამხედრო ძალების და უზარმაზარი ბიუროკრატიის გამოსაკვებად.

მეორეს მხრივ მოზერხებულად ტარდება ლენინის ანდერძი ერთა ათქვეფისა და ამ მიზნით ქართველი ახალგაზრდობა თითქოს «თავის ნებით» იგზავნება რუსეთში. ხოლო რუსები კი ბინადებიან საქართველოში. მოსკოვის ეს ვერაგული პოლიტიკა ჰქმნის შუღლსა და მტრობას ერთა შორის, რაც შეიძლება გახდეს საბედისწერო პატარა ერის არსებობისათვის.

ამიტომ ქართველ ერს მართებს სიფრთხილე, მედგრად დგომა თავის ნაციონალურ სადარაჯოზე თავისი ეროვნული უფლებების აღსადგენად სხვა ერთა სიძულვილის გარეშე, როგორც ეს მას სჩვევია.

დამოკიდებულება საგარეო ძალებთან.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლაში პარტია უკავშირდება თავისი ორგანოების საშუალებით ყველა იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც უდაოდ ცნობენ ქართველი ერის სუვერენულ უფლებას თვით განაგოს თავისი ბედი და მის მისწრაფებას დამოუკიდებლობის აღდგენისათვის და საერთოდ აღიარებენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას ურუნხვოდ.

ეროვნული ფრონტი.

დღიდან საქართველოს დაპყრობისა სოც.-დემ. პარტია აღიარებდა და აღიარებს ყველა ქართული ეროვნული ძალების ერთ ფრონტში შეკავშირებას.

კონფერენცია ავალებს საზღვარგარეთელ ბიუროს მიიღოს სათანადო ზომები უცხოეთში მყოფ ყველა სასიცოცხლო ეროვნული ძალების შესაკავშირებლად ერთ მთლიან ფრონტში.

ეროვნული საბჭო.

კონფერენცია გაეცნო რა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. ერაძის მოხსენებას, ერთხმად ამტკიცებს ბიუროს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და იწონებს ეროვნულ საბჭოში ყრილობის მიერ ჩატარებულ რეფორმას, მისი მუშაობის გაჯანსაღებისათვის.

აუცილებელ საჭიროდ სცნობს უცხოეთში ქართული საქმის წარმოებისათვის ეროვნულ საბჭოს არსებობას და ავალებს ბიუროს ხელი შეუწყოს მას.

ყოფილ მინისტრთა კოლეგია.

კონფერენცია ადასტურებს, რომ საგარეო საქმის წარმოებისათვის საჭიროა ყოფილ მინისტრთა კოლეგიის არსებობა და მოქმედება.

პარტიული გაერთიანების შესახებ.

კონფერენცია ავალებს ბიუროს მიიღოს ყოველი საშვალეობა პარტიული ორგანიზაციის რიგების გაერთიანებისათვის.

საზღვარგარეთელი ბიურო.

კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად აღიარა საზღვარგარეთელი ბიუროს მუშაობა საანგარიშო პერიოდში.

უცხოეთის ხელ. პარტიები და ხელ. ინტერნაციონალი.

კონფერენცია ავალებს ბიუროს მუდროს კავშირში შევიდეს უცხოეთის სოციალისტურ პარტიებთან, რომლებიც წარსულში დიდ სამსახურს გვიწვედნენ საქართველოს საკითხის დაცვაში.—მათი საშუალებებით მოაგონოს სოციალისტურ ინტერნაციონალს, რათა უკანასკნელმა მხარი დაუჭიროს ქართველ ერს ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ბიურომ უნდა გადადგას ნაბიჯები პარტიის უფლების აღსადგენად ინტერნაციონალში.

პარტიული პრესა.

კონფერენცია ავალებს ბიუროს გამოახოს საშვალება გახ. «ჩვენი დროშა»-ს რეგულიარულად გამოშვებისათვის და მოითხოვს მისი სარედაქციო კოლეგიის გადახადისებას.

ავალებს რედაქციას შიაკციოს განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს მიმდინარე სოციალ-პოლიტიკურ და ეროვნულ ცხოვრების გაშუქებას.

### ამხ. მ. მარაძის მოხსენება.

ძვირფასო ამხანაგებო!

მთელი ეს არა სასიამოვნო ამბავი, რამაც ასე გაანწვავა ურთიერთობა ჩვენს პარტიულ რიგებში, წარმოიშვა ერთი საკითხის გამო; თუ ვინ უნდა ყოფილიყო ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეთ. ამ ნიადაგზე დაედა და უთანხმოება დაიწყო შიგ კომიტეტში, დღიდან მისი დაარსებისა.

ორი წლის განმავლობაში ვერ მოვახერხეთ ამის გადაწყვეტა, არ მოიხსნა ეს საკითხი ჩვენი კრებების დღისწესრიგიდან, ამის მიწვევით აღმასრულებელ კომიტეტში ვერ აეწყო და ვერ დალაგდა ნორმალური მუშაობა.

საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ასეთი მდგომარეობა გახდა თავსამტრევე საკითხად თვით ჩვენი პარტიული ხელმძღვანელობის ორგანოებისთვისაც. კრიზისიდან გამოსასვლელ საშუალებათა ძიება შეიქნა საზღვარ გარეთელ ბიუროსათვის მეტად დიდ საზრუნავ საგნად.

წინად, გაერთიანებულ საბჭოს პირველ ყრილობამდინ. ნ. ცინცაძე იყო ქართულ ეროვნულ საბჭოს ნდობით და უფლებით აღჭურვილი, როგორც მისი საქმიანობის მთავარ როლის შემსრულებელი—წარმომადგენელი უცხო ერთა პოლიტიკურ დაწესებულებათა წინაშე. ამ დიდ და საპასუხისმგებლო თანამდებობასთან ერთად ის ითვლებოდა ავრეთვე აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეთაც. ამ არსებულ ტრადიციის გასაგრძელებლად ნ. ცინცაძემ მოითხოვა, რომ ეს ორი თანამდებობა ახალ საბჭოშიაც ისევე შეერჩინოდა მას.

საბჭოში შემავალი სხვა პარტიების წარმომადგენელნი სავსებით თანახმანი იყვნენ, რომ ნოე ცინცაძე, როგორც ძვე-

ლად, ესლაც ყოფილიყო ეროვნულ საბჭოს სრულ უფლებიანი წარმომადგენელი ამ დიდსა დამთავარ როლში. მხოლოდ მიზანშეწონილად სცნობდნენ, რომ კომიტეტის თავმჯდომარეთ ავერჩია სხვა წევრი კომიტეტის, აგრეთვე სოციალდემოკრატი. ეს თავიანთი წინადადება ასე დაასაბუთეს: მართალია, ყრილობის გახსნამდის თავმჯდომარეობას და წარმომადგენლობას არ ყოფდნენ ერთი მეორისაგან, და განზრახვა ქონდათ თავმჯდომარეთაც ნ. ცინცაძე აერჩიათ, მაგრამ ეს ახრი მათ შეიცვალეს ყრილობის პირველ კრებაზედვე, როდესაც ნ. ცინცაძის წარმოთქმულ პოლიტიკურ სიტყვაში დაინახეს ერთგვარი გადახრა საერთო შეთანხმების პოლიტიკური საფუძვლებიდან. ამან დაბადა მათში ეჭვი და ცოტა უნდობლობა ნ. ცინ—დში. ეს მდგომარეობა გააღრმავა და გააძლიერა კომიტეტის წევრთა არჩევნების დროს ნ. ცინცაძის ტენდენციურმა არა ლოიალურმა მოქმედებამ.

გვეუბნებოდნენ, რომ რამდენათაც მათ ნ. ცინცაძის ხასიათი იციან, ის თავმჯდომარეობის თანამდებობით ისარგებლებს და აღმას. კომიტეტის კრებას წესიერად არ მოიწვევს, მდივანს მდივნობას არ დაანებებს, საზოგადოთ კომიტეტის წევრებს ანგარიშს არ გაუწევს; კომიტეტში თვითონ განდებთ კანონმდებელიც და ამსრულებელიც, რაც აღმასრულებელ კომიტეტს ფიქციით გადააქცევს.

თავმჯდომარე ვერ ავირჩიეთ, დავა ამის შესახებ გახანგრძლივდა; ნ. ცინცა და კომიტეტ შორის არ დამყარდა საჭირო და სავალდებულო თანამშრომლობა. ნ. ცინცაძე გული აიტრუა კომიტეტში მუშაობაზე. მართალია, საბჭოს საქმეს თავს არ ანებებდა, ხანდახან (ისიც დიდი ხვეწნით და წამახალისებელი მოპყრობით) კრებაზე მოგვეყავდა, ხანდახან კიდევ ასრულებდა კომიტეტის დავალებას, მაგრამ ეს იყო უფრო შემთხვევითი ხასიათის, ხშირად კი იყო განზე გამდგარი. მუშაობდა თავის ამარა, თავის ნებაზე, კომიტეტმა არ იცოდა რა აკეთებდა, ვისთან რას ლაპარაკობდა და რას ისმენდა, ვის რას პირდებოდა საბჭოს სახელით და ვინ რას გვეპირდებოდა ერთი სიტყვით, გამოდიოდა რომ აღმას. კომიტეტი მარტონიშისთვის არსებობდა რომ გაემართლებინა იურიდიული კანონიერება ეროვნულ საბჭოს მიერ ნ. ცინცაძისადმი გაცემული მანდატის.

საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა გართულდა; დასავლეთს და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობა გამწვავდა, კაცობრიობა განსაცდელი წინაშე იდგა. რას მოუტანდა მას ხვალისდელი დღე არავინ იცოდა, ამ პირობებში ყველა ქართველ პატრიოტს ჩვენი ქვეყნის უმწეო მდგომარეობა და მისი მოსალოდნელი მწარე ბედი მეტად აფიქრებდა, თუ როგორი იქნებოდა იმ დროს განცდა და რეაქცია აღმასრულებელი კომიტეტისა, რომელსაც სამშობლოზე მზრუნველობა ჰქონდა მოვალეობათ დაკისრებული, თქვენთვის ადვილი წარმოსადგენია.

ჩვენ ვიდევით დილემის წინაშე: ან ყოველგვარი კანონიერი საშუალებით მოეხერხებია და თავი დაეღწია კომიტეტს თავის ტრადიკული მდგომარეობიდან, საბჭოს სავალდებულო საქმიანობა უკონტროლოთ არ მიეგდო ნოე ცინცაძისათვის და კომიტეტს კომიტეტობა გაეწია; ან თავი გაკოტრებულად გამოეცხადებია და ეროვნულ საბჭოსა და ჩვენი ქვეყნის წინაშე თავისი თავი თვითონვე მიეცა პასუხისგებაში.

კომიტეტმა აირჩია პირველი გზა. შეუდგა მის განხორციელებისათვის ენერგიულ მოქმედებას, იმავე დროს არ დაივიწყა, რომ ჩვენს პირობებში საპირობო მეტი წინდახედულობა და მეტი სიფრთხილე, რომ დავაში და ჩხუბში გულისთვის არ ავყოლოდით და პატარა მიზნის გამო ცინცაძე საბჭოს არ ჩამოშორებოდა, ისედაც შესუსტებული აქტიური პოლიტიკური ჩვენი ძალები კიდევ არ შეგვისუსტებინა.

ჩვენ კარგათ გვექონდა გათვალისწინებული ყოველი დღეებითი თვისებები ცინცაძისი, რაც სუირია მის თანამდებობაში მყოფ პოლიტიკურ მოღვაწეს. ამას ყველას ვგრძობდით, მხედველობაში ვიღებდით. ამიტომაც იყო, რომ ასე დიდხანს გაგრძელდა ეს საქმე და უფრო ადრე ვერ გადაწყვეტიეთ.

ცინცაძის თანხმობით, კომიტეტში შიგნით ზავის ჩამოსაგდებლათ, კომიტეტმა დროებით თავმჯდომარეთ დანიშნა თქვენი მონამორჩილი: იმ მიზნით, რომ მოვიწვევდით საბჭოს არაჩვეულებრივ ყრილობას და იქ მივიტანდით ჩვენს შინაურ დავას გადასაწყვეტათ. მანამდის კი ნოესთან ერთად განაგრძობდა კომიტეტი თავის მუშაობას.

სწორედ ამ ხანად მიუხეხინიდან ჩამოვიდა ლევილში რაქდენ არსენიძე ვისარგებლეთ ამ შემთხვევით და თავი შევიყარეთ ეროვნულ მთავრობის ყოფილ მინისტრთა კოლეჯი:მ. დავსვით საკითხი სამსჯელოთ და დასკვნის გამოსატანათ ეროვნულ საბჭოში შექმნილ კრიზისის შედეგებ. ნ. ცინცაძემ წარმოადგინა თავისი პროექტი, რომელიც გჯლისხმობდა არსებულ ეროვნულ საბჭოს გაუქმებას და მის ალღვას ახალ ეროვნულ საბჭოს შექმნას, ეროვნულ მთავრობის ყოფილ მინისტრთა კოლეჯიის გარშემო.

ამაზე მე და არსენიძემ ვუპასუხეთ, რომ იდგია ასეთი ეროვნული საბჭოს დაარსების არ ახალია, ძველია და პრინციპში არც არის უარსაყოფი, მხოლოდ მისი განხორციელება თუ კაწია! კანდელაკის სიცოცხლის დროსაც კი ვერ მოხერხდა, მიუხედავათ იმისა რომ მაშინ პირობები ამისთვის უფრო უკეთესი იყო; დღეს იგი უკვე შეუძლებელია. არც არის მიზანშეწონილი, რომ სათუთო გაეხადეთ ჩვენი საქმე და დიდის წვალეებით შექმნილი ეროვნული ფორტი და მისი საბჭო მოეშალოთ. ვერც შენს პროექტს განვახორცილწთ და ხელმეორედ ვერც დაშლილ ეროვნულ საბჭოს აღვადგენთ. სოციალდემოკრატები გავირიყვებით, მოვექცევით იზოლიაციაში, ეს დასცემს ჩვენს პარტიულ პრესტიჟს და ეროვნულ

საქმეს ვავენბთ. ეროვნული საქმე უნდა ვმართოთ ეროვნული ძალებით, ეროვნული ფრონტით. ამიტომ არსებული დავა თვით ეროვნულ საბჭოში უნდა მოვაგვაროთ: თვით ეროვნული საბჭო გავაფართოვოთ, აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ტრადიციული ფუნქციები კომიტეტის ორ წევრ შუა გავანაწილოთ; საგარეო საქმეთა ხელმძღვანელობა და საბჭოს წარმომადგენლობა დავტოვოთ ისევე. ცინცადის ხელში, თავმჯდომარეთ კი იყვეს კომიტეტის სხვა წევრი, აგრეთვე სოციალდემოკრატი, რის თანახმანიც არიან ჩვენი პარტნიორებიც; გადიდებულ იქნეს კომიტეტის წევრთა რიცხვი არსებულ წარმომადგენლობის პროპორციის ნიადაგზე და მოიშალოს საბჭოს პრეზიდიუმი.

ნ. ცინცადეს ვარწმუნებდით, რომ მხოლოდ ასეთი რეფორმა აღმასრულებელ კომიტეტში აგვაცდენს საბჭოს დაშლას. კაცობრიობის დღევანდელ აღრევის ხანაში ეს იქნება სოციალდემოკრატიის შორს მკვრეტელობის მანიფესტაცია, მის ტრადიციულ პოზიციებზედ დგომა.

ნ. ცინცადემ არ გაიზიარა ჩვენი აზრი. მისი უარი არ იყო გაბედულათ ნათქვამი; დაგვტოვა და წავიდა...

რ. არსენიძე დაბრუნდა მიუნხენში. ჩვენი ბიურო ემზადებოდა პარტიული კონფერენციის მოსაწვევათ. იხილავდა კონფერენციისათვის დღის-წესრიგში დასმულ საკითხებს.

..... 1961 წელს ლევილში ბიუროს კრებაზე სხვა საკითხებ შორის უნდა გაერჩიათ ეროვნულ საბჭოში შექმნილი კრიზისის საკითხი. ნ. ცინცადემ წარმოადგინა იგივე მისი ცნობილი პროექტი; მე წარვადგინე ყოფილ მინისტრთა კოლეგიაში უმრავლესობისაგან მიღებული პროექტი. კრებამ განიხილა ორივე პროექტი და დიდი მსჯელობის შემდეგ, არსენიძის და ჩემს პროექტს ხმა მისცა ბიუროს ცხრა წევრმა, ნ. ცინცადის პროექტმა მიიღო სამი ხმა, ერთმა თავი შეიკავა.

ამ გვარად საბჭოში არსებული დავის გადასაწყვეტად მინისტრთა კოლეგიამ და საზღვარ-გარეთელმა ბიურომ დაამუშავეს და მიიღეს საერთო პროექტი. ახლა საჭირო იყო პროექტს გასცნობოდენ საბჭოს ს.-დ. ფრაქციის წევრები და დგილობრივი ორგანიზაციები, რომლის შემდეგაც ჩვენი დელეგატები მიიტანდნენ მას ეროვნულ საბჭოს ყრილობაზე.

მე ვფიქრობდი, რომ ამის შემდეგ ნოე ცინცადეც დარწმუნდება, რომ ეს არის ერთად ერთი და კანონიერი გზა, რომ გადავარჩინოთ ეროვნული საბჭო დაშლას და აღვადგინოთ ასე საჭირო მისი ნორმალური საქმიანობა, რომ ნ. ცინცადესთვის თავმჯდომარეობის საკითხი არ უნდა გახდეს სადაოთ, ბიუროს მიერ მიღებულ პროექტს თუ თვითონ არ გაატარებს, ხელს მაინც არ შეუშლის მის გატარებას. შევცდი. ცინცადე ჩაებლაუჭა ამ თავმჯდომარეობის თანამდებობას და გადაწყვიტა მას ანაცვალოს ეროვნული საბჭოც, ბიუროც, ყოფილ მინისტრთა კოლეგიაც. ამ მიზნის მისაღწევათ შეეცადა

პარიზის ორგანიზაციაში გაებათილებინა ბიზრეს და ყოფ. მთავრობის მინისტრთა კოლეგიის შემუშავებული პროექტი. მან აქაც განიცადა მარცხი: ორგანიზაციამ არ გაიზიარა ნ. ცინცაძის აზრი. ამან უარესად გააძაბა იგი და გააცხოველა ერთგ. საბჭოს წინააღმდეგ მოქმედება. ერთის მხრივ ეროვნ. საბჭოს აღმასრ. კომიტეტი გამოაცხადა უკანონოდ დაარსებულ ორგანოთ და რადგან ამ არგუმენტს გასავალი არა ჰქონდა. განაახლა თავისი ძველი, მრავალჯერ ჩვენთან კერძოთ ნათქვამი, კომიტეტში პოლიტიკურად საეჭვო პირები არიანო, რაც ჩვენგან იყო უარყოფილი და თვითონ ისკი გაფრთხილებული, რომ გულის თქმას არ აყოლოდა და ზერელედ და უსაბუთოდ არავისათვის ჩირქი არ მოეცნო. გავახსენეთ ისტორია მის მიერვე მისი განგაშით ატენილი ამბავი პარიზის ბლოკის ერთი თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწის შესახებ, რომელსაც ნ. ცინცაძე მთელი ორი წლის განმავლობაში პოლიტიკურად საეჭვო პირად სთვლიდა, მტრის აგენტად ნათლავდა. ახლა კი ის პირი ერთი მისი საუკეთესო და სანდო თანამშრომელია, რომელსაც პატივს სცემს და მეტად დიდ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მას გზა გაუკვლია. ურჩევდით ამ თავის მაგალითით ესარგებლა და ახალად არ ჩავარდნილიყო უხერხულ მდგომარეობაში, რასაც ჩვენს პირობებში შეუძლია ჩვენ საქმეს დიდი ზარალი მიაყენოს და სანდო და პატივსაცემი ჩვენი თანამშრომლების სახელი ტყუილად ტალახში არ გასვაროს.

აღმას. კომიტეტის კრებებზე აღარ ესწრებოდა მიეწვრეთ წერილი მოსულიყო, რადგან მასთან ერთად გვინდოდა დაგვემუშავებინა პარიზის ბლოკის წევრებთან შეხვედრის პროგრამა. მოუსვლელიობის მიზეზად გვაცნობა, რომ ის მიუხედავად მიემგზავრება «დიდ საქმეზე».

კრება გვექონდა ინა უორდანიას ბინაზე ლევილში. აღმას. კომიტეტის მდივანმა დიდი საყვედური გამოამიცხადა, რომ თითქოს მას ვატყუებდით. თქვენ გვეუბნებით ცინცაძე მიუხედავად წავიდა და ეს კაცი კი შატოს წინ დაიარებაო.

ამ ფაქტიდან ჩვენ დავასკვენით, რომ ცინცაძე უცხადებს ბოიკოტს კომიტეტს, რომ მისი იმედი აღარ უნდა გვექონდეს, უნდა შემდეგ კრებაზე მოვიწვიოთ მისი კანდიდატი და თავი აღარ ვიტყუოთ.

გავიგეთ. რომ «პარიზის ბლოკი» იწვევს კონფერენციას. რადგან ცინცაძისაგან ყველაფერს მოველოდით საბჭოს წინააღმდეგ ბრძოლაში, შევშინდით კონფერენცია უჩვენოთ არ მომხდარიყო და ამიტომ მიეწვრეთ წერილი პარიზის ბლოკის პრეზიდიუმს, ეცნობებოდა ჩვენთვის კონფერენციის დღის-წესრიგი და მისი გახსნის დღე.

დარწმუნებული ვიყავით, რომ ცინცაძე გაეცნობოდა რა ჩვენს თხოვნას. ან თვითონ მოახერხებდა ამა თუ იმ გზით დაეკმაყოფილებინა კომიტეტი; ან ეტყოდა მდივანს და თავმჯდომარეს მოეცათ პასუხი. ამის მაგივრათ ცინცაძის თა-

გონებით პარ. ბლ. პრეზიდენტის თავმჯდომარემ მოგვეწერა მეტად უხეში და უდიერი პასუხი: თქვენ პრეზიდენტი არ გცნობთ, ჩვენ ვიცით, რომ ქართველები წარმოდგენილნი არიან ცინცაძის სახით.

ჩვენ გადავწყვიტეთ მიუხეხნში მიგვეწერა ჩვენი თანამშრომლებისათვის და მათი შემწეობით გავვეგო, რაც ვერ მივიღეთ ვერც ცინცაძისაგან და ვერც პარ. ბლოკის პრეზიდენტისაგან. ყოველ შემთხვევისათვის შეუდექით სამზადისს.

28 იანვარს მოვაწყვეთ ეროვნულ საბჭოს არაჩვეულებრივი ყრილობა. ეროვნულ საბჭოს უნდა გადაეწყვიტა, თუ როგორი წესით წარმოებდეს საზღვარ გარეთ ჩვენი ეროვნულ-პოლიტიკური მუშაობა. ჩვენ პარტინორებს და ჩვენს პარტიულ ორგანოებს სურდათ კომიტეტში დარღვეული დემოკრატიული წესის აღდგენა, საბჭოს და მისი კომიტეტის სუვერენობის გამტკიცება; კომიტეტის წევრთა თანასწორ უფლებიანობა. უმრავლესობის გადაწყვეტილების ცნობა და მის ფარგალში კომიტეტის ყველა წევრის სამსახურის სავალდებულოთ აღიარება.

ცინცაძეს სურდა კომიტეტი ყოფილიყო მის სამსახურში, შინაყმათ და დამქაშათ. რადგან მისთვის აშკარა იყო, რომ ყრილობაზე დელეგატების უმრავლესობა მას არ მიემხრობოდა, მოიწადინა სოც.-დემ. დელეგატების უმრავლესობის დადგენილებით ყრილობის გადადების მოთხოვნა, რითაც მისი აზრით სხვა დელეგატებსაც აიძულებდა ყრილობის ჩაშლას. მისმა ამ ცდამ მიზანს ვერ მიაღწია: სოც. დემ. დელეგატების უმრავლესობა დადგა სოც.-დემ. პარტიულ ბიუროს დადგენილების ნიადაგზე და ყრილობა გაიხსნა.

28 იანვრის ყრილობაზე დამარცხდა ნ. ცინცაძე; გაიმარჯვა ჩვენი ბრძოლის ტრადიციულმა დემოკრატიული წესების დამცველმა სოც.-დემ. პარტიულმა ბიურომ. ყრილობამ მიიღო ბიუროს პროექტი აღმას. კომიტეტში რეფორმის მოსახდენათ, რომ თავმჯდომარეთ ყოფილიყო კომიტეტის სხვა წევრი და საგარეო მუშაობა და წარმომადგენლობა დარჩენილიყო ნ. ცინცაძის ხელში, თუ ის ამ დადგენილებას დაემორჩილებოდა.

ამ ბრძნულმა დადგენილებამ ს.-დ. პ. საზღვარ გარეთელი ბიურო და მისი მეთაურობით და წინამძღოლობით არსებული სამი ქართული პოლიტიკურ პარტიათა ეროვნული ფორმის იხსნა ორ მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური მარცხისაგან.

პირველი, ეს იქნებოდა საქართველოს ს.-დემ. პარტიის როგორც საზღვარ გარეთ ისე სამშობლოში პრესტიჟის დაცემა, ეროვნულ ბრძოლის მედროშეობის ხელიდან გაგდება და მეორე. რაც უარესია, მისგან უარყოფა დემოკრატიული პრინციპის, რისთვისაც ქართველი ერი ამ 40 წლის განმავლობაში ებრძვის თავის დამპყრობლებს.

ყრილობის დადგენილებით ჩვენ გადავარჩინეთ ქართული

30277



ეროვნული საბჭო დაშლას, სწორეთ იმ დიდ ისტორიულ მომენტში, როდესაც ჩვენი ქვეყნის ბედის ჩარხის ტრიალი ამ კაცობრიობის აღრვის დროს მოულოდნელად შეიქრა საბედისწერო სფეროში, როდესაც ენაზე კლიტე დადებულ ჩვენს ერს უფრო მეტად სჭირდება თავდადებული პოლიტიკური ემიგრაციის სიტყვა და საქმე მის ყოველ გასაქირში დასახმარებლათ და მის სუვერენულ უფლებათა აღსადგენათ და დასაცავათ.

28 იანვრის ყრილობის პოლიტიკური აქტის საქმეში დი. დი სამსახური მიუძღვის საქართველოს სოც.-დემ. პარტიის სახმელეთარეთელ ბიუროს და პარტიის ორგანიზაციას, რომლებიც არ აპყენენ ვიწრო სექტანტურ სულისკვეთებას, არ უღალატეს 26 მაისის დემოკრატიულ დროშას და დაიცვეს დემოკრატიული პრინციპი მართველობის, როგორც სახელმწიფოს საქმიანობაში, ის, თავის მეტრძოლ ლაშქრის წყობაში და მოქმედებაში.

თვით ყრილობის რეზოლიუცია არის აშენებული ისეთ საფუძველზე, რომ საშუალებას აძლევს მათაც ვინც მას არ იზიარებდა და ებრძოდა, საერთო ბრძოლის ფერხულში ჩაებას და გასწიონ თანამშრომლობა თავის ნიჟის და უნრის საკადრის პოსტებზე. რეზოლიუცია მოითხოვს მათგან და ყველა ჩვენ თანამშრომელთაგან კოლეგიალურ მუშაობის პრინციპის დაცვას. მის ცხოვრებაში გატარებას.

მე მეკითხებიან: თუ ნოე ცინცაძე 7 წლის განმავლობაში ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელიც იყო და იმავე დროს აღმას. კომიტეტის თავმჯდომარეც, რა მოხდა რომ უკანასკნელ ორ წელიწადს ის კაცი ვეღარ შეიფერეთ და მოსთხოვეთ ხელი აეღო თავმჯდომარეობაზე?

მოხდა მეტად დიდი ამბავი: 7 წლის განმავლობაში ეროვნულ საბჭოს გვერდში ედგნენ და იყვნენ მისი მთავარი სულის ჩამდგენელნი და მისი პოლიტიკური ხაზის მიმცემნი ჩვენი მეთაურები, ჟორდანიას, გეგუქკორი, ჩხენკელი, კ. კანდელაკი, რომელთაც ცინცაძე მეტად დიდ ანგარიშს უწევდა და კარგათ ჰქონდა შეგნებული, რომ თუ ის არ დაემორჩილებოდა მათ და თავის ნებაზე ივლიდა, მას არ მოითმენდენ და საბჭოს საქმეს უიშისოთ წარმართავდენ, მაგრამ როცა ისინი აღარა გვყავს, დარჩენილებს ყველას ზევიდან დაგვეყვრებს დათავის თავი ნოე ჟორდანიას მოადგილეთ ჰგონია. ამიტომ ჩვენს მდგომარეობაში დღევანდელ აღმასრულებელ კომიტეტს თუ მეტი საშუალება არ ექნება ვიდრე წინეთ ჰქონდა, რომ აიძულოს კომიტეტში იყვეს თანამშრომელი და არა დირიჟორი, ისე ნ. ც—ე თვითონ ვერ მოახერხებს თავის ხასიათის დაძლევას და კოლეგიალურ მუშაობის წარმოებას.

აი რატომ აღარ ვარგა, რომ ცინცაძე იყვეს თავმჯდომარეც და საგარეო საქმეთა მწარმოებელიც.

(დასასრული იქნება)

## ძარტული ეკონომი საბჭოს შრილობა.

ამა წლის 28 იანვარს ს. ლევილში შესდგა ქართული ეროვნული საბჭოს არაჩვეულებრივი ყრილობა. ყრილობას დაესწრნენ საბჭოში შემავალი ყველა პარტიების დელეგატები.

ყრილობის საგანი იყო იმ ორგანიზაციულ საკითხების მოგვარება, რომლებიც აბრკოლებდნენ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მუშაობას.

დილის სხდომა გახსნა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ერაძემ. რომლის მოწოდებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა საბჭოს უკანასკნელ ყრილობის შემდეგ გარდაცვლილ პოლიტიკურ მოღვაწეთა ხსოვნას, რომლებიც უცხოეთში გარდაიცვალნენ.

ყრილობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა პ. სარჯველაძე, მდივნებათ: მ. ბერიწვილი და თ. ანთაძე.

საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მდივანმა—ურუშაძემ თავის ვრცელ მოხსენებაში აღნიშნა ყველა ის არანორმალური მდგომარეობა, რომელიც სუფევდა აღმასრულებელ კომიტეტის მუშაობაში და არ აძლევდა მას გასაქანს თავის მოვალეობის შესასრულებლათ.

ნაშუადღევის სხდომაზე—გ. ერაძე თავის სიტყვაში—ხაზს უსვამდა იმ განსაკუთრებულ პოლიტიკურ მდგომარეობას რომელიც შექმნილია დღეს საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე—და რომ ეროვნულ საბჭოს წინ უდგას მძიმე და მეტად საპასუხისმგებლო ამოცანები—რომელთა შესრულება შეუძლებელი ხდება თუ არ შეიქმნა საბჭოს აღმას. კომიტეტის წევრთა შორის ურთიერთ თანხმობა, მთავარ მოვალეობათა შეგნება და კოლექტიური თანამშრომლობა.

ამის შემდეგ სიტყვა ეძლევა ნ. ცინცაძეს—რომელიც მრავალ ახსნა-განმარტებებში—აცნობს ყრილობას ყველა იმ აბრკოლებებს თუ გაწეულ მუშაობას, რომელიც მას უხდებოდა საგარეო ფრონტზე. იხსენება კამათი—რომელშიც მონაწილეობას ლებულობს თითქმის ყველა დამსწრენი.

კამათის დამთავრების შემდეგ მიღებულ იქნა სოციალ-დემოკრატიების სახელით წარმოდგენილი რეზოლიუცია—რომელიც იწონებს აღმას. კომიტეტის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და ადგენს:

გაუქმებულ იქნეს ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმი, შევესებულ იქნეს აღმასრულებელი კომიტეტი საბჭოში შემავალ ყველა პოლიტიკურ დაჯგუფებიდან. არსებულ პროპორციის მიხედვით; გაყოფილ იქნას აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ფუნქციები: თავმჯდომარე და საბჭოს საგარეო წარმომადგენელი იყვენ სხვადასხვა პირები.

რეზოლიუცია მიღებული იყო ერთხმად. თავი შეიკავეს მხოლოდ ნ. ცინცაძემ, გ. ბოლქვაძემ, და კ. ქავთარაძემ.

ყრილობამ დაავალა აღმას. კომიტეტს თანახმად წესდებისა, მორიგი ჩვეულებრივი ყრილობა მოიწვიოს ამ წლის დამლევს ფართე და სრული პროგრამით.

ფილეგატი.

## „ჩვენი ღრუსა“-ს რედაქციას.

ქართული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, მოგმართავთ თხოვნით დაგვიბეჭდოთ თქვენი ორგანოს უახლეს ნომერში შემდეგი დადგენილება:

«ქართულ ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა განიხილა რა საკითხი ბ-ნ. ცინცაძის კომიტეტთან თანამშრომლობის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში ის, რომ ბ-ნი ცინცაძე არ ესწრებოდა კომიტეტის სხდომებს, არ ბარებდა კომიტეტს ანგარიშს ეროვნულ საბჭოს საქმეებთან დამოკიდებულ თავის მოღვაწეობისას და განაგრძობდა მართლთ თავისი პირად პასუხისმგებლობით მუშაობას; რომ ქართულ ეროვნულ საბჭოს ამა წლის 28 იანვრის კონგრესის შემდეგაც არ მოისურვა კომიტეტში მოსვლა და მასთან ნორმალურ თანამშრომლობის აღდგენა, არ უპასუხა 18 მარტის მიმართვაზე, ეცნობებია თავისი გადაწყვეტილება სურს თუ არა მას კომიტეტთან თანამშრომლობა, ყველა ამგვარ აქტი ბ-ნ. ცინცაძემ თავისი თავი დააყენა კომიტეტის გარეშე, — რის გამო კომიტეტი ადგენს:

1. აღმასრულებელი კომიტეტი ასრულებს რა თავის მოვალეობას მის ამრჩევლების, ქართულ ეროვნულ საბჭოს წევრთა და თავის ქვეყნის წინაშე, დღეიდანვე თვით იღებს თავის ხელში საბჭოს ყოველგვარ საგარეო საქმეებს, რაც დღემდე შეადგენდა საბჭოს მიერ ბ-ნ. ცინცაძეზე დაკისრებულ მოვალეობას. ყოველგვარი მანდატი და დავალება ეროვნულ საბჭოს სახელით ბ-ნ. ცინცაძისადმი გაცემული იქნება გაუქმებულად.

2. აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს ეროვნულ საბჭოს სოციალდემოკრატიულ ფრაქციას წარმოგზავნოს ბ-ნ. ცინცაძის შემცვლელი წარმომადგენელი კომიტეტში.

3. აღმასრულებელი კომიტეტი დროებით თავის წარმომადგენელად მიუნხენში ნიშნავს საქართველოს ეროვნულ მთავრობის ყოფილ მინისტრს, ქართულ ეროვნულ საბჭოს წევრს ბ-ნ რაქდენ არსენიძეს, რომელსაც მიეცემა სათანადო მანდატი და დავალებანი.»

დედანთან სწორია:

აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი ნ. ჟრუჟაძე.

25 მაისი, 1962 წელი.

## კომპარტიის მე-22 ყრილობიდან.

ჩვენი ქუთნალის დაგვიანებით გამოსვლა ხელს არ გვიშლის შევადგათ ის უდიდესი პოლიტიკური საკითხები, რომლებიც დასმული იქნენ რუსეთის კომპარტიის ყრილობაზე. მით უმეტეს რომ ყრილობის გამოძახილი და მის მიერ მიღებული დადგენილებების შედეგები—საგარეო თუ საშინაო

ფრონტზე—სათანადო გავლენას ახდენენ—რაც ჯერ კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

კომპარტიის ამოცანები გაპიტალისტურ სამყაროში.

ჩვენ წინ დევს კომპარტიის ხელმძღვანელთა სიტყვები ქართულ «კომუნისტში» ნაცოდვილევად ნათარგმანები, —სიიდანაც აშკარად მოსჩანს ის შიში. რომელიც ხრუშჩოვს და მის თანამშრომლებს აღშფოთებს და ანალღვიანებს. ესაა დასავლეთის მშრომელ მასსების მატერიალური უზრუნველყოფის ზრდა. ანტი-კომუნისტური მოძრაობის ძლიერება და იმ ილიუზიების გაქრობა საბჭოთა ყოვლის შემძლებლობაზე, რომელიც ათეულ წლების მანძილზე არსებობდა და იმდღს აძლევდა მოსკოვს კომინტერნის თუ სხვა ორგანოთა საშველებით დასავლეთის მუშათა მოძრაობაზე თავის გავლენა გაფართოვება. დასავლეთის ეკონომიურად მოლონიერებამ, ე. წ. მარშალის გეგმის დახმარებით და შინაური კოლოსალური ნაციონალური ენერჯის გამოვლინებით გამოაცალა ნიადაგი მოსკოვს—განეგრძო კვლავინდებურად დამანგრეველი როლის შესრულება.

ორატორები აღშფოთებით აღნიშნავენ, რომ დასავლეთში იზრდება თურმე ანტი-დემოკრატიული, რეაქციონური მიმართულება, რომელიც გაქლენთილია ომის სურვილით. კერძოთ კაპიტალი გამხდარა სახემწიფო მოლოპოლიათ. იგი თანდათან დაპატრონებია წარმოების საშველებებს, —მაგრამ მიუღია ნაციონალურ საკუთრების ხასიათი და მუშათა კლასიც თანდათანობით მონაწილეობას ლებულობს წარმოების მართველობაში და მისი წარმატებისთვის ზრუნვაში. ბოლშევიკური პარტიის საუბედუროდ ეს პროცესი მართლაცაა დაწყებული. ხდება უდიდესი დაინტერესება მუშათა მასსებისა ნაციონალური ეკონომიკით.

პროფ. კავშირების საშველებით მუშებს საშველება ეძლევათ მე-19 საუკუნის მყელეფავი კაპიტალი თანდათანობით გადააქციონ საკუთარ ნიეთიერ უზრუნველყოფის საშველებათ. დასავლეთის სოციალისტურ მოძრაობაში დღეს მოქცეულია მთელი მშრომელი მასსა. თვით სოციალისტურ პარტიების პროგრამამ—განიცადა ერთგვარი ცვალებადობა—რომლის შესახებ ჩვენ ცალკე მოგვიხდება საუბარი. მოკლეთ მან ალლა აულო ეკონომიურ და სოციალურ ევოლიუციის მსვლელობას და თავის დროშის ქვეშ დააყენა არა მარტო სამრეწველო პროლეტარიატი, არამედ—ყველა მშრომელი და დაქირავებული. შეიცვალა თვით სახელმწიფოს როლი, —იგი ხდება და ზოგან გახდა კიდევ სახალხო სახელმწიფოთ. ინგლისის, პოლანდიის, დასავლეთ გერმანიის, სკანდინავიის ქვეყნების და სხვათა მშრომელი მასსები დაეუფლენ საზოგადოებრივ, ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებას და გახდენ—დასაყრდენი და მამოძრავებელი მათგანვე შექმნილ სახელმწიფო ორგანიზმის და ნაციონალურ ეკონომიკის.

აი ის უდიდესი ისტორიული პროცესი, რომლის მოწამე ჩვენ ვართ, და რომელიც ასე აღლევებდა კომპარტიის კონგრესზე გამოსულ ხელმძღვანელებს. ამას ადასტურებს პოლონაროვის გამოსვლა, რომელიც აღიარებს: «დასავლეთის რეაქციონურ შავ არმიის უდიდესი ადგილი უჭირავს მემარჯვენე სოციალდემოკრატებს». მათ ამოიღეს პროგრამიდან ტრადიციული რევოლუციონური დროშა. რომში მ.მ.ხ.დ. არი სოციალისტური კონგრესი იყო ანტი-საბუჟური, ანტი-კომუნისტური სულით გაქვნილი. ამიტომ მოუწოდებთ უცხო ქვეყნების მუშათა კლასს ზურგი შეაქციონ მათ და სხვ... უხადია, ამ ყრილობიდან გაკეთებული მოწოდებები დღეს უნაყოფოთ იკარგება, რადგან როგორც ზევით მოვიხსენიეთ, — დასავლეთის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება — მიდის კომპარტიის საწინააღმდეგო მიმართულებით, რამაც ააღლევა და აახმაურა კომუნისტების ყრილობა.

კომპარტიის ამოცანების სირთულე და წინააღმდეგობა აფერხებს მათ ცხოვრებაში გატარებას. ერთის მხრივ თანაარსებობის საკითხის პრაქტიკული განხორციელება — მეორეს მხრივ ე. წ. დამპალ კაპიტალიზმის წინააღმდეგ მუშათა კლასის დარახმვა — ქმნის უდიდეს აღრევას იდეოლოგიურ ფართზე და გაუგებრობას ზოგ უცხო კომპარტიებში; და თუ აქამდე რუსის კომპარტია თამაშობდა წამყვან როლს, დღეს მისგან მოცემული იდეოლოგიური მითითება და დირექტივები სავალდებულოდ აღარ მიაჩნიათ არა მარტო ჩინეთს ალბანეთს, რომელიც უკმაყოფილო არიან, არამედ წითელ მექიდან მოსულ ბრძანებებს, კრიტიკულად ეპყრობიან თვით ევროპის კომუნისტებიც: ეს მეტად მნიშვნელოვანია, რამდენადაც აქარწყლებს კომპარტიის მონოლიტობას და ტოტალიტარიზმს თვით კომუნისტების რიგებში.

დესტალინიზაცია.

დასავლეთის მუშათა კლასის გარკვევას საბუჟოთა სინამდვილეში ხელი შეუწყო ხრუშჩოვის მოულოდნელმა გამოსვლამ — როცა მან მოითხოვა სტალინის ლეშის ამოგდება მავზოლედან. თუ მე-20 ყრილობაზე დესტალინიზაციის დონე განისაზღვრა მისი საერთო მოქმედების გაკრიტიკებით, ეხლა მთელი ცოდვები, რაც საბუჟოთა ხელისუფლებას ჩაუდენია საბუჟოთა ხალხების და კაცობრიობის წინაშე — ყველაფერი მას გადაბრალდა და გუშინ გაღმერთებული ხალხთა მამა — წყველ-კრულვის და გაკიცხვის საგანი გახდა. მაგრამ ხრუშჩოვი ანგარიშში უსათუოდ მოსტყუვდა და ამორალურ თვალმაქცობით ფონს ვერ გავიდა, რადგან მთელი ქვეყნიერების წინაშე რეჟიმის მახინჯი სახე, სტალინის ნამოქმედარის გადმოშლით, გამოაშკარავდა და ნათელი გახდა თვით კომპარტიის ნამოქმედარი — რომელსაც შეეწირა მრავალ ერების და თვით ბედშავ რუსის ხალხის თავისუფლება.

ყრილობა ტაშს უკრავდა ხრუშჩოვს, მაგრამ წარსულში

რომელ ყრილობაზე—იგივე პარტია ტაშს არ უკრავდა და მხურვალეთ არ ეგებებოდა—იმ ტერორს—რომელსაც დღეს ასე უარყოფს?.. ორატორები დასტიროდნენ კომპარტიის ათეულ მოღვაწეებს, რომლებიც მსხვერპლი გახდნენ სტალინის ტერორის,—მაგრამ არც ერთ მათგანს არ მოჰგონებია ათასობით მუშები და გლეხები—რომელთა გაქვლეტაში დღევანდელი ბატონი და კომპარტიის ხელმძღვანელობა მხურვალე მონაწილეობას იღებდენ.

დესტალინიზაცია კი პოლიტიკურ ფრონტზე უნდა ყოფილიყო კომუნისტურ რეჟიმის მიერ ჩადენილ ყველა უსამართლოებისა და დანაშაულებათა გაკიცხვის და სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნა. უნდა ყოფილიყო, სხვათა შორის, მოთხოვნა ყველა დაპყრობილ ქვეყნებიდან რუსის ჯარების გაყვანის; პოლიტიკურ რეჟიმის ჰუმანიზაციის. მაგრამ სტალინის დღევანდელი შეშცვლელი და მისი კომპარტია, მონაწილე და გამგრძელებელი ამ უსამართლობის,—დღეს პრივილეგიურ კასტათ ქცეული—ამას ვერ მოიმოქმედებს—რადგან ეს იქნებოდა რეჟიმის ლიკვიდაცია. ეს საქმეა ხელსაღიანობის, რის დროც დადგება...

კომპარტია და მისი პრეზრამა.

რუსული კომპარტია დღეს აღარ ითვლება საერთაშორისო კომუნისტების ერთადერთ მეთაურად; მოსკოვის ხელიდან ეცლება თანდათანობით ხელმძღვანელობა უცხო კომპარტიებზე. იყო დრო, როცა წითელ მექას ყველანი მოწყალების თვალთ შეჰყურებდნენ და იქიდან მოსულ დირექტივებს უხმოდ ასრულებდნენ. მე-22 ყრილობაზე მომხდარ ამბებმა კომპარტიებში დაგროვილ ბოღმას—გასაქანი მისცა. იტალიის, საფრანგეთის და მრავალ აზიურ კომპარტიებში უკმაყოფილება თანდათანობით იზრდება, აღარავის სჯერა—ის დაუსრულებელი ტრაბახი—რომლითაც რვა საათის განმავლობაში სრულშრომმა ყურები გამოუქუდა თავის სტუმრებს. თუ სტალინის გაბახებამ უცხოელთ გული აუშლვრია და გონება აუფორიაქა, არც რუსულ კომპარტიის ახალ პროგრამას გამოუწვევია ენტუზიაზმი და ნდობა წამოყენებულ პროექტის მიმართ. მიხეზი ამ აღრევისა და უნდობლობისა უფრო ღრმად, უფრო რთულია, ვინემ ზერვლე მეთვალყურეს შეუძლია შეამჩნიოს. რუსეთის სოციალური და ეკონომიური ძვრები მის დღევანდელ მეთაურებს უკარანახებს უარყო სტალინური მეთოდები და რატომ? იმიტომ, რომ აღარ სჭირდება ინდუსტრიალიზაციის ძალადობით, რისხვითა და მახვილით გატარება. რუსეთი გადაიქცა დიდ ინდუსტრიულ და სამხედრო ძალათ.—დღეს ამას არავინ უარყოფს. მას სჭირდება საგარეო ფრონტზე—თანაარსებობის გზით—რუსული კომუნისტების გატანა, თავის ექსპანსიური პოლიტიკის გატარება...

მაგრამ შიგნით—ომის შემდეგ—დაპირებული მცხოვრებთა ნივთიერი მდგომარეობის, კეთილდღეობის დამყარება

არ გამართლდა, ამერიკის—დაწვევისა და გასწრების ლოზუნგი «აგიტპროპის» ლექსიკონიდან ამოვარდა და, რაც მთავარია, სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა გაკოტრდა. სოფელი ახლაც ვერ კვებავს ქვეყანას. 1958 წლის ხრუშჩოვის რეფორმები დავიწყებას მიეცა ან კიდევ მრავალი ერთი-მეორეს საწინააღმდეგო დეკრეტები გამოცხვია. ხრუშჩოვი იძულებული ხდება სოფელ-სოფელ იაროს და არწმუნოს ვლენობა—პასისიურ წინააღმდეგობაზე ხელი აიღონ და ერთგულად სწიონ შრომის უღელი.

სასოფლო მეურნეობის კატასტროფიულ მდგომარეობას დღეს ვერ მალავს თვით საბჭოთა პრესა—ასე რომ ამის მტკიცება ჩვენ აღარ გვჭირდება. აი ამ დროს საჭირო იყო უდიდესი «ბლეფი», უდიდესი სათვალთმაცო გეგმა, დიდი ფანტაზიის ნაყოფი—და სწორედ ასეთად წარმოდგენილ იქნა პარტიის ახალი პროგრამა, რომელიც პირდება რუსეთის იმპერიაში მოქცეულ ერებს, მშრომელ მასებს ამ ქვეყნიურ სამოთხეს, გაბედნიერებას, კეთილდღეობას; უცხოეთის არც ერთს ეკონომისტს და არც ერთს ეროვნების პრესას ეს პროგრამა სერიოზულ დოკუმენტად არ მიუღია,—ის არ გაურჩევია, ყველგან და ყველასაგან იგი მიჩნეულია როგორც საპროპაგანდო დოკუმენტი—შინაური უკმაყოფილების შესანელებლად, ერთხელ კიდევ ილიუზიების შესაქმნელად.—ხოლო საგარეოთ რუსული კომუნიზმის უდიდეს ისტორიულ როლის მაჩვენებლად—რომელსაც თუ 20 წელში შეუძლია ბედნიერება მოკვდაროს რუსეთს,—ამასთანავე შეუძლია მისი გარეთ გატანა, გამოყენება და სხვათა გაბედნიერება რაც არის თურმე ისტორიული მისია რუსეთის კომპარტიის. თუ 40 წლის მანძილზე საბჭოთა ხელისუფლებამ ვერ დაამყარა ადამიანთა კეთილდღეობა,—განა ხრუშჩოვს თვითონ სწამს, რომ 20 წლის შემდეგ საბჭოთა მოქალაქე საბოლოოდ შეცურდება ნივთიერ-სიუხვისა და ბედნიერების სამოთხეში? სრულიადაც არა. 3-4 წლის შემდეგ—ეს პროგრამაც დავიწყებას მიეცემა და მასების დასაბრძოლებლად სხვა გეგმები შეითხზება. თუმცა საკითხავია—სანამდის გასტანს მათი დამცირება-მოტყულება!..

ვანუყრელი იარაღი.

საბჭოთა ხელისუფლებას თითოეულ პოლიტიკურ პერიოდში სჭირდება აამუშავოს, აალაპარაკოს სწორედ, რომ ესთქვათ—აწვალოს კალმით დაჯილდოებულნი და თავის სამსახურში გამოიყენოს. ასე იყო თავიდანვე,—ასეა დღესაც. მე-22 ყრილობაზე ორი-სამი ათეული პოეტ-ბელეტრისტი და პროზაიკი იყენენ წარმოდგენილნი, შერჩევით და წინასწარი მომზადებით, რომ ოდნავ კრიტიკის ნატამალი არ ყოფილიყო მათის მხრიდან ყრილობაზე, რადგან დღეს უკვე დამალული არაა, რომ ახალგაზრდობა, რომელიც სამწერლო ასპარეზზე ეხლა გამოდის ვერ ურიგდება, ვერ ეგუება მაღლი-

დან მოცემულ თემატიკის დამუშავებას და უსათუოდ დამოუკიდებელ აზროვნებით, კრიტიკულ მიდგომით ეპყრობა მის გარშემო მომხდარ მოვლენებს, ცდილობს ახალი სიო შეიტანოს იმ ერთფეროვან, მონოლიტურ სფეროში, რომლის მსხვერპლი გახდა არა ერთი ნიჟიერი მწერალი.

«ხელოვნება—პარტიის სამსახურში»—დღეს ველარ იზიდავს ახალგაზრდობას—და იგი ცდილობს დაუძვრეს ოფიციალურ დანაკვეთებს... კონგრესზე გამოსული ორატორები—უსაყვედურებდენ მათ ფორმალიზმში გადავარდნას, სადაც შეპარულია და თანამიმდევრობით გატარებულია ის ადამიანური განცდები,—პირადი თუ საზოგადოებრივი, რომლებიც ამჟღავნებენ ერთგვარ პროტესტს—არსებულ შემეფიქრებელ პირობების და საზოგადოებრივ მოვლენების—წინააღმდეგ. ყრილობაზე მოხდა ამის დასამტკიცებლათ საინტერესო გამოსვლები. სახელდობრ,—გამოირკვა, რომ მწერალთა რიგებში გაჩენილან ჯგუფები—რომლებიც თურმე გაპყენენ დამპალ დასავლეთის—დეკადენტურ გზას. მათ დაიმსახურეს რისხვა და დატუქსვა ხელისუფლებისგან. აღსანიშნავია,—რომ ჩნდებიან თანდათანობით ახალ-ახალი ავტორები, რომლებიც ამხელენ თავიანთ ნაწარმოებში რეჟიმის სიბოროტეს—ეს მოვლენაც—ერთგვარ გამკლავების ძალას—შემატებს იმ უკმაყოფილების ტალღას—რომელიც უნდა აზვირთდეს და ჩამოანგრეოს კედელი დიქტატურის შენობისა.

ა. პადრიძე.

## 26 მაისი პარიზში.

წელს 26 მაისის დღესასწაულს, პარიზის ქართული სათვისტომო განსაკუთრებით მომზადებული შეხვდა.

«Palais d'Orsay»-ს დიდი დარბაზი, რომელიც მორთული იყო საქართველოს ეროვნული დროშებითა და სახელმწიფო ემბლემით, დამსწრე საზოგადოებით გაივსო.

ზეიმზე განსაკუთრებით მრავალრიცხოვნად იყო წარმოდგენილი რუსეთის იმპერიალიზმის—მსხვერპლ ერთა დელეგაციები.

დარბაზის სცენაზე, საზეიმო პრეზიდენტის მაგიდას გარს უხსდენ: სენატორი სოციალისტი ჰანრი ბარე, გენერალი რენუარი, სინდიკალისტი ლებური, პარიზის ქართული სათვისტომოს თავ—რე ბ. ლ. ზურაბიშვილი და სხვები.

სენატორი ჰანრი ბარე მიესალმა რა დამსწრე საზოგადოებას, ფართედ შეეხო დაპყრობილ ერთა პრობლემას და იმ მუშაობას, რომელიც ეხლაზან გაცხოველებით წარმოებს დასავლეთში დაჩაგრულ ხალხთა სასარგებლოდ.

მან გამოსთქვა რწმენა, რომ შორს არაა ის დრო, როცა კულტურული ქართველი ერი, თავის დამოუკიდებლობას



დაიბრუნებს, რის საწინდარია ქართველი ხალხის ორიათას წლიანი კულტურაო.

სენატორ ჰანრი ბარეს სიტყვები საზოგადოებამ რამდენჯერმე ხანგრძლივი ოვაციებით დააჯილდოვა.

ქართულ ენაზე მოკლე სიტყვა წარმოსთქვა სათვისტომოს თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ფალავამ.

მეტად საინტერესო და ამბლელებელი სიტყვა წარმოსთქვა სინდიკალისტმა ლებუშმა, რომელმაც საქართველოს ბედი ისე ლოლიკურად დაუკავშირა რუსული იმპერიალიზმის სხვადასხვა სახეცვლილებებს, რომ დამსწრე საზოგადოებაში აღფრთოვანება გამოიწვია და მთელი კრებული მქუხარე ტაშისტემით შევხდა ჩვენი ფრანგი მეგობრის ასე ბეჯითად დაინტერესებას ქართული საქმით.

დაიწყო დღესასწაულის მხატვრული ნაწილი. სცენაზე ბ. შურა ნაკაიძის ხელმძღვანელობით შედგენილი ქართველ მომღერალთა გუნდი, რომელსაც დიდი ხნის ისტორია არა აქვს. მხოლოდ გუნდის დიდ მონდომებას და გულდადებულ მუშაობას შეეძლო ასეთი კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა დამსწრე საზოგადოებაზე, როგორც მის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა მოახდინა.

იწყება ქართული ცეკვების განყოფილება. ზედმეტი არ იქნება ითქვას, რომ ცეკვების ყველა სახეობა ზედმიწევნით ლამაზთა და მომხიბლავად იქნა შესრულებული. რამაც დამსწრე საზოგადოებაში სამართლიანი და დამსახურებული ოვაციები გამოიწვია.

ზეიმი გაგრძელდა დილის 6 საათამდე.

მადლობის ღირსია სათვისტომოს თავ—რე ბ. ზურაბიშვილი და მთელი გამგეობის შემადგენლობა, რომ საქართველოს ეროვნული დღესასწაული, რომელიც ბრძოლისა და გამარჯვების სიმბოლო ვახდა, ასე დიდებულად და შინაარსიანად მოაწვეს.

შ. ბ.

---

## ს ო შ ო

დღიდან ქართული ემიგრაციის არსებობისა სოშოს სათვისტომოს მოღვაწეობა სამაგალითოდ და სასახლოთ უნდა ჩათვალოს. იყო დრო—როცა ეს მრავალრიცხოვანი ნივთიერად მდიდარი ორგანიზაცია უხვად ეხმარებოდა და ხელს უწყობდა ქართველობას უცხოეთში; ეწეოდა ადგილობრივად ეროვნულ-კულტურულ მუშაობას. დღესაც—როცა სათვისტომო რიცხოვნობრივად შემცირებულია და ნივთიერათაც არც უწინდებურათ მაგარი—მას სრულეზით არ დაუკარგავს შექმნილი ტრადიცია და შეძლებისდაგვარად—არ უშვებს ემიგრაციაში არც ერთ შემთხვევას—გლოვისა თუ სადღესასწაულო დღეს არ გამოეხმაუროს და თავის სიტყვა არ თქვას.—

არსებობს ურთი-ერთის გაგება, სული სალი და პატრიოტუ-  
ლი, მიუხედავად პოლიტიკურ სხვადასხვაობისა—ერთი-მეო-  
რეს ატანა—მეგობრული განწყობილება.

გასული წლის 17 დეკემბერს შესდგა სათვისტომოს წლი-  
ური საანგარიშო კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ილ.  
სალუქვაძე და მდივნობდა ს. ჭირაქაძე. გადარჩეულ იქნა ძვე-  
ლი გამგეობა და სარევიზიო კომისია. გამგეობაში არიან ბ.ბ.  
ი. შავდია, ს. ჭირაქაძე და ქვარცხავა.

უსურვებთ სათვისტომოს გამგეობას კვლავინდებურათ,  
შეთანხმებით—ნაყოფიერ მუშაობას.

პარიზელი.

26 მაისი ქ. ხელმოწერა.

დილის 10 საათია. ქ. სოფოში მცხოვრები ქართველობა  
თავს იყრის სათვისტომოს დარბაზში—რომელიც მორთუ-  
ლია სურათებით: ნ. ჟორდანიას, ი. ჭავჭავაძის, თამარ მეფის, შ.  
რუსთაველის, პატარა კახის, ნ. რამიშვილის, ეგ. ნინოშვილის.

სახეიმო სხდომას ხსნის სათვისტომოს თავმჯდომარე ბ.  
იასონ შავდია, რომელიც თავის ღრმად შინაარსიან სიტყვა-  
ში—ანალიზს უკეთებს—საქართველოს დამოუკიდებლობის  
გამოცხადების—ქართულ-ეროვნულ ცხოვრების—წინა პერი-  
ოდებს, აღნიშნავს საქართველოს სუვერენობის აღდგენის-  
თვის წარმოებულ ბრძოლებს, რუსეთისაგან პირის გატეხას,  
ხელშეკრულების დარღვევას და წართმეულ თავისუფლების  
დასაბრუნებლად ურყევ გადაწყვეტილებას: სრულს იმედს  
გამოსთქვამს—რომ მოვა დრო და საქართველო კვლავ ინი-  
ლავს თავისუფლებას—დედა-ქალაქში კვლავ აფრიალდება  
დროშა-სამფეროვანი.

ბ. ს. ჭირაქაძე—თავის შინაარსიან სიტყვაში უმთავრესათ  
შეხვალ—რუსეთის დეკოლონიზაციის გარდაუვლ ელემენტს, რომ-  
ელსაც მოპყვება დღეს რუსეთის ტყვეობაში ჩავარდნილ  
ერების განთავსუფლება, და საქართველოც დაიბრუნებს სა-  
კუთარ დამოუკიდებელ არსებობას...

ეგ. აბულაძემ ძლიერ ასიამოვნა დამსწრენი საკუთარი  
ლექსით.

ილ. სალუქვაძემ მოიგონა მრავალ ერთა განმანთავისუფ-  
ლებელი ბრძოლები—სანიმუშოთ ასახელებს ირლანდიისგან  
გაწეულ რამოდენიმე ასეულ წლის შეუწყვეტელ ბრძოლას და  
თავისუფლების მოპოვებას. უნდა ვიყვეთ მხნეთ, მტკიცეთ  
და ურყევთ გვექიროს ეროვნული დროშა, დავიცვათ მისი  
სიწმინდე—უმწიკვლოდ გადავსცეთ იგი მომდევნო თაობას...  
მუდამ შევეყურებდეთ მომავალს იმედიანათ.

სახეიმო სხდომის შემდეგ გაიშალა სუფრა და მხიარუ-  
ლება გაგრძელდა საღამომდე.

## ქ ა ნ - მ ა რ ტ ე ნ ი .

ქართველ ერმა ქან-მარტენის სახით დაჰკარგა მისი უფლების მედგარი დამცველი. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს,—ამ დიდ შივეიცარიელმა მოიარა საქართველო, გაეცნო მის კულტურას, ისტორიას, დარწმუნდა ქართველი ერის პოლიტიკურ სიმწიფეში. როცა საქართველო დაიპყრეს, მისი თავმჯდომარეობით დაარსდა—საქართველოს განთავისუფლების ქენევის კომიტეტი. ქან-მარტენი არ უშვებდა არც ერთ შემთხვევას—რათა საქართველოს უფალ უფლება არ დაცვა პრესაში, ტრიბუნაზე, საერთაშორისო კონგრესებზე—თავდადებულად, ენერგიულად—ქართველი ერის სრული სიყვარულით.

დასაფლავების დღეს ქან-მარტენის ქვრივს—თანაგრძნობის დეპეშები გაეგზავნა—საფრანგეთში მყოფ ქართველთა სათვისტომოსაგან, ეროვნულ საბჭოსაგან, საქარ. სოც.-დემ. მ. პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროსაგან.

### დათა ვაჩნაძე.

ამა წლის 23 იანვარს, მიუნხენში (დასავლეთი გერმანია) გარდაიცვალა, — საქართველოს ეროვნულ-საზოგადოებრივ ცხოვრების ასპარეზზე ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე—დათა ვაჩნაძე.

იგი იყო მედგარი მებრძოლი, თავის ქვეყნის განმანთავისუფლებელ ბრძოლაში ჩამბული, დიდი ენტუზიასტი, იმედიანი, გაუტეხელი...

«ჩვ. დრ.» რედაქცია გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახობას და მის პოლიტიკურ მეგობრებს.

### მიშა ჩუბინიძე.

კიდევ ერთი დიდი დანაკლისი მოუვიდა ქართულ ემიგრაციას. 3 აპრილს გარდაიცვალა მიშა ჩუბინიძე—კარგი ქართველი, გულკეთილი, ყველასაგან დიდათ პატივცემული ადამიანი. 7 აპრილს ლევილის ძმათა სასაფლაოზე იქნა დასაფლავებული. დაკრძალვას დაესწრო თითქმის მთელი ქართული საზოგადოება. გალობდა შ. ნაკაიძის გუნდი.

სასაფლაოზე წარმოთქვეს გრძნობიარე სიტყვები დ. კლდიაშვილმა, ბ. ნოზაძემ, ლ. ფაღავამ და ქართული სათვისტომოს თავმჯდომარემ ლ. ზურაბიშვილმა.

ორატორების მიერ აღნიშნულ იქნა, რომ მიშა დაიბადა ქ. ზესტაფონში 1892 წ. 17 დეკემბერს.

გარდაცვალების 40 დღის თავზე მიშას საფლავზე გადახდი იქნა პანაშვიდი მამა ილიასაგან. მიშას ბიძაშვილის

ვალეკო ჩუბინიძის თაოსნობით. დააკურთხეს პასკა-წითელი კვერცი და ქართული ღვინო!

შემდეგ ვ. ჩუბინიძემ გადაუხადა მიშას ალაპი, რომელზედაც მიიწვია პანაშვიდზე დამსწრე მთელი საზოგადოება ას კაცამდე. ალაპზე აღნიშნეს განსვენებულის დიდი ადამიანური ღირსებები, მხურვალე პატრიოტიზმი, ქართველ ხელმოკლეთა დახმარება და სხვ. როგორც მამა ილიამ, ისე ვიქტორ ნოზაძემ—როგორც სადილის გამძღოლმა. სიტყვები წარმოასთქვეს აგრეთვე ი. გობეჩიამ, ლ. ზურაბიშვილმა, რ. არსენიძემ, გოგი წერეთელმა, ე. პატარიძემ და არ. გედევანიშვილმა. ვალეკო ჩუბინიძემ ყველას დიდი მადლობა გადაუხადა.

### გიორგი ნატროშვილი.

1961 წლის 6 ნოემბერს, საფრანგეთში, სოფელ აშერში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გიორგი ნატროშვილი. თანახმად მისი სურვილისა. დასაფლავებულ იქნა იქვე სოფელ აშერში.

«ჩვენი დროშა»-ს რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს მის ქირისუფლებს.

### პარტიული ცხოვრება.

20 მაისს, ინა ქორდანიას ბინაზე შესდგა პარიზის სოც. დემ. ორგანიზაციის კრება, —სადაც ამხ. რ. არსენიძემ გააკეთა მოხსენება «საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობაზე» —რამაც გამოიწვია ცხოველი ინტერესი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. შემდეგ კრებამ მოისმინა პარტიული კონფერენციის ანგარიში და ეროვნულ საბჭოს შესახებ—ინფორმაცია. მიღებულ იქნა ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია:

«პარიზის სოც. დემ. პარტიის ორგანიზაციამ, მოისმინა რა მოხსენება პარტიულ კონფერენციის მუშაობის შესახებ, —ღებულობს მის დადგენილებებს სავალდებულო-სახელმძღვანელოთ. ავალებს კომიტეტს, —ადადგინოს სწორი ცნობები—პარტიულ წრეებში მომხდარ ფაქტების შესახებ და დაუზავნოს სოც. დემ. მ. პ. წევრებს.»

კრების დასასრულ არჩეულ იქნა ხელმძღვანელი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ვალ. ჩუბინიძე, გრ. ბარამიძე, ერ. მაჭავარიანი, გ. ქორდანია და მ. სტურუა.

კანდიდატები: ე. გრიგოლაშვილი, გრ. გვეტაძე, კ. საბანაძე, სარევიზიო კომისიაში: კ. ჯაყელი, ვ. კირტავა, ლ. ქლენტი.

ვაჟა-ფშაველას დაბადების 350 წლის იაფი.

29 აპრილს «მუზე-სოციალ»-ის დარბაზში, —ქართველთა სათვისტომოს და მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადოების მიერ ბ-ნ ვ. ნოზაძის თავმჯდომარეობით აღნიშნულ იქნა

ვაჟა-ფშაველას დაბადების ასი წლის თავი. თავმჯდომარის შესავალ სიტყვის შემდეგ ფრანგულ ენაზე სიტყვა წარმოს. თქვა ბ. ლ. ზურაბიშვილმა, თავმჯდომარემ წაიკითხა უცხოეთში უძროთ გარდაცვლილ ნიჟიერ კრიტიკოსისა და ლიტერატორის ის. მანწყავას მიერ დატოვებული განხილვა ვაჟას შემოქმედებისა. მოხსენებები წაიკითხეს ბ. ბ. მიხ. გრიგოლიამ, შალია კალანდაძემ, ნიკო ყურულაშვილმა. ყველა მოხსენებები იყო ფრიად შინაარსიანი; გაშუქებულ იქნა პოეტის ცხოვრება და მისი შემოქმედება საქმის სრული სიყვარულით და მომხადებით.

მხატვრულ განყოფილებაში—რუსუდან სტურუამ ფრანგულად წაიკითხა—ვაჟას ნაწარმოებიდან; გრძობითა და დანაწერის სრული ათვისებით—მიიპყრო მან ყველას ყურადღება; ნანო სტურუამ ვაჟას ლექსის წაკითხვით—აღაფრთოვანა დამსწრენი. მშვენიერი იყო გოგი წერეთლის მიერ—მოხდენილათ წაკითხული—ვაჟას ლექსი.

გულნარა და ოთარ პატარიძემ—როგორც ყოველთვის—დამსწრე საზოგადოება დაატყბეს თავიანთი შეხმატკბილებული სიმღერით.

დიდი მადლობა ჩვენგან—დიდი პოეტის მოსაგონარ—ასეთ შინაარსიან კრების მოწყობისთვის.

#### ქართულ სათვისტომოში.

8 აპრილს პოლონელების სახლში შესდგა საფრანგეთში მყოფ ქართულ სათვისტომოს წლიური—საანგარიშო კრება. დღიურ წესრიგში იდგა გამგეობის მოღვაწეობის გაცნობა. სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ. ლ. ზურაბიშვილმა გააკეთა ვრცელი მოხსენება გამგეობის მუშაობის შესახებ—რაც კრებაში ერთხმად დამტკიცა და მხურვალე მადლობა გამოუცხადა გამგეობას ნაყოფიერი მუშაობისთვის.

სათვისტომოს წესდებაში—შესწორების/შეტანის მიზნით—გამგეობამ წარმოადგინა რამოდენიმე მნიშვნელოვანი მუხლი, რაც თვითუღად განხილული იქნა და მიღებული.

კრების ერთსულოვანი თხოვნით თავმჯდომარე და გამგეობა დათანხმდა მომავალ წელშიც განაგრძოს სათვისტომოს ხელმძღვანელობა.

#### ა მ ე რ ი კ ი დ ა ნ .

ამერიკაში—ჩვენი ამხანაგები: ლ. არველაძე, ის. გაქონია, აბაშიძე, სარჯველაძე და სხვები სცემენ ინგლისურ ენაზე ჟურნალს «ჩვენი გზა». ჟურნალი მიზნათ ისახავს დაცვას უცხოეთის წინაშე საქართველოს სუვერენული უფლებები. პირველი ნომერი მკითხველზე ახდენს კარგ შთაბეჭდილებას და მან უკვე იპოვა კიდევ შესაფერი გამომხატურება.

ვუსურვებთ ჟურნალის რედაქციას ნაყოფიერ შრომას.

## ბ ი ზ ლ ი ო ზ რ ა ზ ი ა .

აღიქსანდრე მათინიშვილი—ერის რაობა და ეროვნული გრძობა (ფსიქო-სიციოლოგიური ნარკვევი). პარიზი, 1962. 96 გვერდი.

ვინც ქართულ მწერლობას თვალყურს ადევნებდა ემიგრაციაში, მისთვის უცნობი არაა ის ამბავი, რომ აღიქსანდრე მათინიშვილი ყოველთვის იყო დაინტერესებული ეროვნული და სოციალური საკითხებით და მას არა ერთი და ორი წერილი დაუბეჭდავს მათ გასარკვევად,—წერილი, ყოველთვის ღრმა ცოდნითა და საქმიანად დაწერილი. ასეთი არის დასახელებული წიგნიც. პირველი ნაწილი ამ წიგნისა არის თეორიული და ეხება ერის რაობას. ავტორი პირველად ყოველისა განიხილავს კოლექტიური ცნობიერების საკითხს, არკვევს—მას და ამასთან დაკავშირებით შემდეგ ერის საკითხს ეხება და მის არსებით განმარტებას იძლევა. ცხადია, ავტორი საეხებით უარპყოფს რასისტულ თეორიას, რომელს არა ერთი სოციოლოგი დღესაც იზიარებს და თვითონ ერს გვაცნობს, როგორც ფსიქიური ასიმილაციის ნაწარმოებს. რამელს «ერის ყველა მთავარი დანაწესები ჰქმნიან».—«იქ, სადაც ხალხს საერთო კულტურა და საერთო კულტურული იდეალი არ მოეპოვება, ერი არ არსებობს» ო.—ამბობს ავტორი,—«და სწორედ ამიტომია, რომ დაჩაგრული ერი უმთავრესად თავისი კულტურის დაცვას და განვითარებას, მისთვის ხელსაყრელ პირობების შექმნას სცდილ ობს»-ო, ხოლო კულტურის მთავარ აგენტად იგი მშობლიურ ენას სახავს.

ერისა და სახელმწიფოს ურთიერთობისათვის ავტორს არ შეეძლო გვერდი აევილო და ამიტომ იგი სახელმწიფოს რაობის საკითხსაც არკვევს და მას სამი ნიშანით გვაცნობებს. ღრმა ანალიზის შემდეგ ავტორი გვასწავლის, რომ სახელმწიფოს წევრთა დაფანტვისას სახელმწიფო ისპობა, ხოლო ერი კი არა. დიდი მიღწევაა, ნათელია, «როცა სახელმწიფოსა და ერის ტერიტორია ერთი და იგივეა» და «სწორედ ამისთვის იღწვის ყოველი ერი თავისი სახელმწიფოებრივი სუვერენობის შექმნისათვისო»,—სამართლიანად მსჯელობს ავტორი.

მაგრამ რა არის დაბოლოს თვით ეს ერი? იგი არის «სპონტანური, იურიდიულ და ყოველგვარ ძალდატანებითი ორგანიზების უშუალო ზემოქმედების გარეშე არსებული საზოგადოებრივი ერთეული; მისი შესატყვისი კოლექტიური ცნობიერება ერთმანეთს უკავშირებს ერთ მთლიან ტერიტორიაზე გაშლილ ძირითად მცხოვრებთ, რომელნიც სხვადასხვა და, განსაკუთრებით, კულტურული ხასიათის დანაწესთა ზეგავლენით ერთგვარ სულიერ და ზოგჯერ აგრეთვე ჩამომავლობითი ფიზიკურ მსგავსებას აღბეჭდავენ»-ო,—ასეთი არის ავტორის შეხედულება ერის რაობის შესახებ. იგი ამ შეხედულებით უახლოვდება ავსტრიულ სკოლას, კერძოდ სოციალ-

დემოკრატიული ოქტო ბაუერის თეორიას ერის რაობის შესახებ,—უახლოვდება—მეტეი, თორემ ალ. შათირიშვილს თავისი თეორია შეუქმნია ამ საკითხზე და იგი ფრიად საინტერესოა; გაიზიარებთ მის შეხედულებას თუ არა, ეს არის მაინც ეროვნული საკითხის ფსიქო-სოციოლოგიური ნარკვევი, რომლის მნიშვნელობა უაღრესად საყურადღებოა და საგულისხმოა. ამ თეორიულ ნაწილს დიდი გულმოდგინებითა და ბეჯითად წაიკითხავს ყველა, ვისაც ეროვნული საკითხი აინტერესებს.

ალექსანდრე შათირიშვილი რომ ეროვნულ-ფსიქოლოგიური საკითხებით თავიდანვე დაინტერესებული ყოფილა, ეს სჩანს იქიდან, თუ რაოდენ დაკვირვებული შეკვლევარი ყოფილა იგი. არავის აზრად არ მოსვლია უცხოეთში გადახვეწილ ქართველთა ფსიქოლოგია შეესწავლა; მას კი ამ მიზნით წერილობითი ანკეტაც მოუხდენია და პირადი ურთიერთობითაც აღნიშნული საკითხი გამოურკვევია; ვინ როგორ განიცდის სამშობლოს დაკარგვას. ამ რკვევის შედეგად იგი ჩვენ გვისურათებს და გვიხასიათებს იმ მწარე განცდებს, რომელთა მსხვერპლი უცხოეთში მოხვედრილი ქართველები განდენ: «სწორედ ამიტომ,—დასკვნის ავტორი ფსიქოლოგიური ანალიზის შემდეგ,—ეს გრძნობა (სამშობლოს დაკარგვისა და მისი მოგონებისა) მეტად განუსაზღვრელი ბუნებისაა: იგი ტკბილი და სასიძოვნოა; მაგრამ იგი ამავე დროს მეტად მწარეცაა». ყველა იცნობს აქ თავის თავს!

ალ. შათირიშვილი, სხვათა შორის, ამბობს, მე არ შევხვედრივარ ქართველს პათოლოგიური ნოსტალგიით შეპყრობილს. რასაკვირველია, ეს მისი განცხადება გეჯერა, მაგრამ ჩვენ კი ბევრს ვიცნობდით, ვისაც ამ სენის გამო და შედეგად თავის რწმენაზე, თავის სანუკვარ იდეალზე ხელი აუღიათ; ესენი იყვნენ უმთავრესად უკვე ნება-გატეხილნი, ფსიქოლოგიურად დამარცხებულნი პირნი... მათ დასტოვეს ბრძოლის ველი...

შემდეგი საჭირობო ოქტო და თავსატეხი საკითხია უცხოეთში მყოფ ახალგაზრდებისა,—საბოლოოდ გადაგვარდებიან ისინი? დაეკარგება სამშობლოს და გაითქვიფება უცხო მხარეებში ჩვენი ახალგაზრდობა? ავტორი ოპტიმისტურად უყურებს მომავალს და მოელის, რომ ეს ახალგაზრდები მაინც ქართველებად დარჩებიან და სამშობლოს გამოადგებიან.

კოდვა არის მართლაც ქართველმა არ წაიკითხოს ალ. შათირიშვილის დასახელებული წიგნი.

მიმდემხოვლო.

«ჩვენი დროების» გამომცემთა შეიძლება შემდეგ მისამართზე

**M - r Berichvili**

16 bis, rue Jules Ferry. Leuville s/orge

(S. et O.) France.

შემოწირულებაც უნდა გამოიგზავნოს ამავე მისამართზე.